



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები

POLICY PAPER SERIES



სამეცნიერო ხელმძღვანელები: ვლადიმერ პაპავა
ალექსანდრე კვახაძე

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

პროექტის შესახებ

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი პოლიტიკის მოკლე დოკუმენტები შეიქმნა პროექტის „ეროვნული უმცირესობები პოლიტიკურ პროცესებში – ჩართულობა უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში. ნაშრომები დაწერეს პროექტში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ახალგაზრდებმა სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან, რომელთათვისაც ეს იყო ანალიტიკურ დოკუმენტზე მუშაობის პირველი მცდელობა. ნაშრომები შეეხება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს.

პროექტი განახორციელა რონდელის ფონდმა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის (OSCE HCNM) ხელშეწყობით და აქტიური მონაწილეობით. პროექტის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სოციალური ჩართულობის გაზრდა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის თემაზე პოლიტიკური დებატების ხელშეწყობა, მათი ცოდნის ამაღლება და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა. მრავალკომპონენტიანი პროექტის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების თბილისის ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ახალგაზრდები და ადგილობრივი საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები დაესწრნენ სხვადასხვა თემატურ სემინარს. პროექტი ასევე მოიცავდა პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა თემატურ შეხვედრებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, ტელეგადაცემების მომზადებასა და პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების სტაჟირებას.



წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის (OSCE HCNM) და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდის) შეხედულებებს.

სარჩევი

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების მონაწილეობა არჩევნებში ფაგან აბასოვი.....	5
ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორხან პირვერდიევი.....	20
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის „გენდერული ბიუჯეტი“ რიმა მარანგოზიანი.....	24
პოლიტიკური კულტურა, როგორც წინაღობა ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის ქართულ პოლიტიკურ პროცესში სრულყოფილი ინტეგრაციის გზაზე ამალია ბაბაიანი.....	29
ინტეგრაციული საგანმანათლებლო პროგრამა 1+4-ის სრულყოფა მარგარიტა ხასანშინა.....	36
უნივერსიტეტში ფაკულტეტების რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა, როგორც ახალგაზრდობის გადინების მიზეზი ლილით კარახანიანი.....	40
სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა ეთნიკურ აზერბაიჯანელებში ზაქირ აივაზოვი.....	44
ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი და კულტურული ჩართულობის ზრდა კატია მოსოიანი.....	48
რეგიონის მიგრაციულ პროცესებზე საზღვარგარეთ სეზონური სამუშაოების როლის შესუსტების ძირითადი გზები ვარდუი კურგინიანი.....	52
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ჰეიდარ ალიევი.....	56

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების მონაწილეობა არჩევნებში

ფაგან აბასოვი

რეზიუმე

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, საქართველოს აზერბაიჯანული თემის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხი საკმაოდ დაბალია. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა არჩევნებში მონაწილეობა კანდიდატისა თუ ამომრჩევლის სახით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის არ არსებობს სამართლებრივი სტიმული, რომელიც წახალისებდა მის რიგებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდას. ბოლო წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა ამ კუთხით დადებითი ტენდენციები გამოავლინა, თუმცა კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ეთნიკური აზერბაიჯანელების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის დინამიკის მიმოხილვას.

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას არჩევნებსა და პოლიტიკურ პროცესებში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის საკითხის შესწავლა. საქართველოს აზერბაიჯანელები ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი თემია. 2014 წლის სტატისტიკის თანახმად, აზერბაიჯანული თემის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში 6,3%-ს შეადგენს, თუმცა მათი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო პროცესებში შესამჩნევად დაბალია. [1]

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ვარდების რევოლუციამდე, როგორც დანარჩენი ჯგუფების, ისე აზერბაიჯანული თემის საარჩევნო პროცესებში ჩართულობა და არჩევნებში მათი კანდიდატების მონაწილეობა ძალიან სუსტ და სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ენობრივი ბარიერი, ინფორმაციული ვაკუუმი, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ინტერესი და კიდევ უამრავი ადგილობრივი თუ ცენტრალური პრობლემა ართულებდა აზერბაიჯანული თემის მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესებში პასიურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების მხრიდან ინტერესის არქონა. ბევრ შემთხვევაში, პარტიები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უპირატესობას არ ანიჭებენ მათ წარმომადგენლებს. შესაბამისად, საკმაოდ დაბალია აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, სადაც ისინი შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას ან მნიშვნელოვან ნაწილს.

ათწლეულების განმავლობაში უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშია ყოველთვის დიდი უპირატესობით იმარჯვებდა სახელისუფლებო პარტია, იქედან გამომდინარე, რომ განსაკუთრებით მმართველ პარტიასა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის „საზღვრები“ იყო ნაშლილი. ბოლო წლებში მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა და გარდა სახელისუფლებო პარტიისა, ოპოზიციურ ძალებსაც აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის ხმების მოგროვების შესაძლებლობა.

ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, აზერბაიჯანული თემის საარჩევნო პროცესებში ჩართულობის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაცემია თემის იმ წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებიც არჩევნებში კანდიდატების სახით იღებენ მონაწილეობას. წინამდებარე ნაშრომში განიხილება აზერბაიჯანული თემის საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ჩართულობის საკითხი.

საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების პროპორციულ სიებში ნაკლებად ასახელებენ აზერბაიჯანული თემის და, ზოგადად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. მათ პროპორციულ სიებში ისეთი ადგილები უკავიათ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ არჩევის რეალური შანსი არ ჰქონიათ. მაჟორიტარული ოლქების შემთხვევაშიც, პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატებს ერთ ან ორ მაჟორიტარულ ოლქში აძლევენ უპირატესობას. არსებობს ისეთი მაჟორიტარული ოლქები, სადაც აზერბაიჯანული თემი შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას ან დიდ ნაწილს, თუმცა პოლიტიკური პარტიები არ იქ აქცევენ ყურადღებას ეთნიკურ ფაქტორს.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს მერობის კანდიდატად ძირითადად მარნეულში ასახელებენ. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლისთვის ყველაზე დიდი თანამდებობაა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია და სხვა არაფერი.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ანალიზი და ამასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევა.

კვლევის მიზნების მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- მეორადი მონაცემების ანალიზი – სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შესწავლა.
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საარჩევნო პროცესის ძირითადი პრობლემების გამოვლენა.

აზერბაიჯანული თემი საქართველოში არადომინანტ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე დიდი ჯგუფია (6,3%-ით). მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანული თემის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის, არჩევნებში ჩართულობის დონე საკმაოდ დაბალია. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა საქმე ეხება აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების მონაწილეობას არჩევით ორგანოებში.

აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლობა პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში

1990-1991 წლების საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონვევის უზენაეს საბჭოში ეთნიკურ უმცირესობებს 7 წარმომადგენელი ჰყავდა, მათ შორის, ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 1992-1995 წლების III მონვევის პარლამენტის 234 წევრიდან მხოლოდ 4 იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, მათ შორის არც ერთი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. 1995-1999 წლების IV მონვევის პარლამენტში ეთნიკური უმცირესობებს 16 წარმომადგენელი ჰყავდათ, მათ შორის 6 იყო აზერბაიჯანული თემიდან. 1999-2004 წლების V მონვევის პარლამენტშიც ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა 16 გახდა, აქედან 7 იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. 2004 წლიდან პარლამენტის წევრების რაოდენობა 150-მდე შემცირდა. ახალი პარლამენტის 3 წევრი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. VI

მოწვევის პარლამენტის მსგავსად, 2008-2012 წლების VII მოწვევის პარლამენტშიც მათი რაოდენობა არ შეიცვალა და იყო 3. ამ პერიოდამდე ეთნიკურად ყველა აზერბაიჯანელი დეპუტატი სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი იყო. 2012 წლის VIII მოწვევის პარლამენტის 3 წევრი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. მათ შორის 1 არჩეული იყო მაჟორიტარად ენმ-დან, ხოლო 2 – პროპორციული სიით „ქართული ოცნებიდან“. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ეთნიკურად 4 აზერბაიჯანელი გახდა IX მოწვევის პარლამენტის წევრი. მათ შორის 1 მაჟორიტარი და 2 პროპორციული „ქართული ოცნებიდან“, ხოლო ერთი პროპორციული წესით ენმ-დან. აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლობა საკმაოდ დაბალია, ქვეყნის მოსახლეობაში მათი ხვედრით წილთან შედარებით. [2]

რაც შეეხება, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, აქაც საკმაოდ დაბალია აზერბაიჯანული თემის ჩართულობის საკითხი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2006, 2010 და 2014 და წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, მათი ძალზე დაბალი წარმომადგენლობა აშკარად ჩანდა. მაგალითისთვის, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აზერბაიჯანული თემი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა ათწლეულების განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობებში მათთვის ყველაზე დიდ თანამდებობას წარმოადგენდა რაიონის ხელმძღვანელის მრჩეველის პოსტი ან უბრალოდ საკრებულოს წევრობა.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2006 წლის ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ეს არჩევნები 2005 წლის ორგანული კანონის მიღების შემდეგ პირველად ჩატარდა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობებისთვის, მათ შორის, აზერბაიჯანული თემის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის მხრივ. ამ პერიოდში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების სახელისუფლებო ორგანოებში მონაწილეობა ძალზე დაბალი იყო.

2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში მთლიანად აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატების რაოდენობამ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში შეადგინა 58, ხოლო პროპორციულ სიებში – 41. არჩევნები ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ ოლქებში კონკურენციის გარეშე ჩატარდა. ამ პერიოდში აზერბაიჯანულ თემში პოპულარობით სარგებლობდა სახალხო მოძრაობა „გეირათი“. მისი ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ მოძრაობის მრავალ აქტივისტსა და წევრს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა. მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში კანდიდატობის მსურველი პირების საკმაოდ დიდი ნაწილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. [3]. ქვეყნის მასშტაბით 43 საარჩევნო უბნიდან არჩეულ იქნა ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მათ შორის, 21 უბანში მარტო სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი იყრიდა კენჭს.[4] აზერბაიჯანული თემის ყველა წარმომადგენელი სახელისუფლებო პარტიიდან იყო არჩეული. არჩევნების შედეგად, მარნეულში ეთნიკურად აზერბაიჯანელებმა 28-დან 16, დმანისში 29-დან 9, ბოლნისში 24-დან 10, გარდაბანში 33-დან 9, საგარეჯოში 21-დან 4, წალკაში 30-დან 2, თელავში 18-დან 1, ლაგოდეხში 15-დან 1 ადგილი მოიპოვეს.[3]

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის 1 767 კანდიდატს შორის მხოლოდ 23 იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. პროპორციულ სიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი იქნა არჩეული. სხვა პარტიებიდან არც ერთი უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი არ აირჩიეს. რაც შეეხება მა-

ჟორიტარულ ოლქებს, არჩევნებში მონაწილე 434 მაჟორიტარული კანდიდატიდან მხოლოდ 9 (2.07%) იყო ეთნიკური აზერბაიჯანელი. მათ შორის, ყველა კანდიდატი კენჭს იყრიდა ქვემო ქართლში: მარნეულში (7-დან 5), გარდაბანში (4-დან 2), ბოლნისში (7-დან 1) და დემანისში (4-დან 1). [5 - გვ.394]

ამ არჩევნების შედეგად, მეხუთე მონვევის პარლამენტის მხოლოდ 3 წევრი გახდა ეთნიკური აზერბაიჯანელი. სამივე კანდიდატი არჩეულ იქნა სახელისუფლებო პარტიიდან. მათ შორის, 1 - მარნეულის მაჟორიტარული ოლქიდან (აზერ სულეიმანოვი), ხოლო 2 - პროპორციული სიით (რამინ ბაირამოვი და ისვახან შამილოვი).[2]

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, წინა არჩევნების (2006 წ) მსგავსად, ძალზე სუსტი იყო პოლიტიკური პარტიების დაინტერესება აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატებისადმი. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემით მჭიდროდ დასახლებულ არც ერთ რაიონში ეთნიკურად აზერბაიჯანელი არ იქნა არჩეული გამგებლის პოსტზე. რაც შეეხება საკრებულოს მაჟორიტარული კანდიდატების არჩევნებს, შედეგები ასე იყო განაწილებული ოლქების მიხედვით: მარნეულში 18-დან 14, გარდაბანში 19-დან 8, ბოლნისში 14-დან 7, ნალკაში 30-დან 3, საგარეჯოში 21-დან 4, თელავში 18-დან 1, ლაგოდეხში 15-დან 1 გახდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი. ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც აზერბაიჯანული თემი კომპაქტურად ცხოვრობს, როგორებიცაა კასპი, მცხეთა, თეთრიწყარო, რუსთავი და სხვა, ძალზე დაბალი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატების წარმომადგენლობა. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები მარტო სახელისუფლებო პარტიიდან იყვნენ არჩეული. [6]

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები:

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე 16 პოლიტიკური პარტიის პროპორციულ სიაში მყოფი ჯამურად 2153 კანდიდატიდან 29 (1,34%) იყო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ საერთოდ არ შეიყვანა ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი თავის პროპორციულ სიაში. „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ პირველ ოცეულში 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო წარდგენილი (მე-2 და მე-8). „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში“ აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი მე-8 ადგილს იკავებდა, „ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებაში“ - მე-14, „კახა კუკავას - თავისუფალ საქართველოს“ პროპორციულ სიაში - მე-15-ს, ხოლო „ახალ მემარჯვენეებში“ - მე-16 ადგილს. არჩევნების მონაწილე დანარჩენი პარტიების, მათ შორის, „ქართულ ოცნებასა“ და ენმ-ის პირველ ოცეულში საერთოდ არ იყო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციულ სიებში სულ აზერბაიჯანული თემის 7-7 წარმომადგენელი იყო. „ქართული ოცნების“ პარტიული სიიდან კი - 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი - ალი მამედოვი (36-ე) და მახირ დარზიევი (56-ე) - გახდა პარლამენტის წევრი. ენმ-ის პარტიულ სიაში შეყვანილი 7 აზერბაიჯანელიდან (მათ შორის ყველაზე უკეთეს ადგილს იკავებდა სამირა ისმაილოვა - 39-ე) ვერც ერთი ვერ შევიდა მე-8 მონვევის პარლამენტში. [7]

რაც შეეხება მაჟორიტარულ ოლქებს, 2012 წლის არჩევნებში პოლიტიკურმა პარტიებმა მაჟორიტარულ კანდიდატად აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს მარტო მარნეულში მისცეს საშუალება. 22-ე ოლქში (მარნეული) 7 მაჟორიტარიდან 6 იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. 23-ე (ბოლნისი) და 24-ე (დემანისი) ოლქებში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ მოსახლეობის ორ მესამედს ან 21-ე ოლქში (გარდაბანი),

სადაც შეადგენენ მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს, არც ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი არ იყრიდა კენჭს. არჩევნების შედეგად, მარნეულის მაჟორიტარულ ოლქში, 2008 წლის მსგავსად, გაიმარჯვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა აზერ სულეიმანოვმა – 78.91%-ით. „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა მახირ დარზიევმა მიიღო ხმების 16,48%. ხმების 3,72% კი განაწილებული იყო დანარჩენ 5 კანდიდატს შორის.[8]

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, აზერბაიჯანული თემის 3 წარმომადგენელი გახდა პარლამენტის წევრი. მათ შორის, 1 – ენმ-დან მაჟორიტარული წესით არჩეული კანდიდატი და „ქართული ოცნებიდან“ პროპორციული სიით – 2 კანდიდატი.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც, წინა არჩევნების მსგავსად, სუსტი იყო პოლიტიკური პარტიების დაინტერესება აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატებისადმი. ჯამში, არჩევნებში 4 აზერბაიჯანული წარმომადგენლობის მერობის კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ შორის, სამი – მარნეულიდან, ერთი – გარდაბნიდან. სახელისუფლებო პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ არც ერთ ოლქში მერობის კანდიდატად არ დაასახელა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატები კენჭს არ იყრიდნენ, სახელისუფლო პარტიამ საკმაოდ მაღალი პროცენტით გაიმარჯვა (დმანისში – 71,86%-ით, ბოლნისში – 71,06%-ით), მარნეულის შემთხვევაში 6 პოლიტიკური პარტიიდან 3-მა: ენმ-მა, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანმა ოპოზიციამ“ და „არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ („თავისუფალი საქართველო“, „ახალი მემარჯვენეები“) უპირატესობა მიანიჭეს ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატს.[9]

აქ ძირითადად გამარჯვებისთვის „ქართული ოცნებიდან“ მერაბ თოფჩიშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აკამედ იმამკულიევი იბრძოდნენ. რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, მარნეულში წინასაარჩევნო პროცესი ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. 5 ივნისს მარნეულის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, განკარგულებით გააუქმა იმამკულიევის რეგისტრაცია. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ არჩევნებამდე კანონით მოთხოვნილი ორი წლიდან, რამდენიმე თვე კანდიდატი არ იმყოფებოდა საქართველოში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა „ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელი და მარნეულის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება აკამედ იმამკულიევის კანდიდატურა რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით ძალაში დატოვა.[10] შემდეგ ენმ-მ გაასაჩივრა ცესკოს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში. 10 ივნისს საქალაქო სასამართლომ გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და ნაციონალური მოძრაობის მარნეულის გამგებლობის კანდიდატს რეგისტრაცია აღუდგინა.[11]

12 ივნისს ქართული ოცნების პოლიტსაბჭომ განცხადება გაავრცელა და მარნეულში კოალიციის კანდიდატ მერაბ თოფჩიშვილს ურჩია, ორი აზერბაიჯანელი ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლოდ მოეხსნა კანდიდატურა. პოლიტსაბჭოს განმარტებით, ეს გადაწყვეტილება კოალიციამ ეთნიკური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად მიიღო. თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, ქართული ოცნების პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების მიუხედავად, კოალიციის მარნეულის გამგებლობის კანდიდატი მერაბ თოფჩიშვილი კანდიდატად მაინც დარჩება. თვითონ მერაბ თოფჩიშვილმაც უარი თქვა კანდიდატურის მოხსნაზე და განაცხადა, რომ კენჭს მაინც იყრიდა.[12] ენმ-ის კანდი-

დატმა აკამამედ იმამკულიევმა ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების საფრთხე მარნეულში გამორიცხა და განაცხადა, რომ 15 ივნისს არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებდა. [13]

სახელისუფლებო პარტიის და ენმ-ის კანდიდატები აქტიურ საარჩევნო კამპანიას ატარებდნენ. „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ ოპოზიციის კანდიდატის საარჩევნო კამპანია მოიცავდა გარკვეულ დასახლებებს. დანარჩენი კანდიდატებს საკმაოდ სუსტი საარჩევნო კამპანია ჰქონდათ აღნიშნულ რეგიონში.

არჩევნების დროს მარნეულში მრავალი დარღვევა დაფიქსირდა - რაიონის 87 საარჩევნო უბნიდან ოთხის შედეგები გააუქმეს. [14] 54 უბანში გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მერაბ თოფჩიშვილმა, 21 უბანში - ენმ-დან აკამამედ იმამკულიევმა, ხოლო 7 უბანში - „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციიდან“ რაშიდ მამედოვმა. იმამკულიევმა და მამედოვმა მხარდაჭერა აზერბაიჯანელებით დასახლებულ ოლქებში მოიპოვეს, ქართულ და სომხურ სოფლებში კი ხმების საკმაოდ დაბალი პროცენტი მოაგროვეს. [14]

სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელმა მერაბ თოფჩიშვილმა ხმების 51,08% მიიღო. ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირველ ტურში „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შედეგი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ მანამდე ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი პარტია მარნეულში უფრო მარტივად იღებდა ხმების დიდ უმრავლესობას. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელ კანდიდატს, ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი კარგი შედეგი მოიპოვა მარნეულში (32,4%). „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატმა რაშიდ მამედოვმა, რომელმაც ხმების 13,28% მოაგროვა. დანარჩენი სამი კანდიდატის მიერ ერთად აღებული 3,4% შეადგენდა. საერთო ჯამში, ოპოზიციურმა ძალებმა, ხმების 49%-მდე მოიპოვეს. [15]

მარნეულში მიღებულ მაჩვენებელს თუ შევადარებთ მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, აღმოჩნდება, რომ სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატები ოპოზიციიდან არ იყრიან კენჭს, იქ სახელისუფლებო პარტიამ ტრადიციულად მიიღო ხმების დიდი ნაწილი. მაგალითისთვის, „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა 23-ე ოლქში (ბოლნისი) - 71,06%-ით, 24-ე ოლქში (დმანისი) 71,86%-ით გაიმარჯვეს. [15]

21-ე მაჟორიტარულ ოლქში (გარდაბანი) მერობის ოთხი კანდიდატიდან ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო ერთი - „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობიდან“ თელმან გასანოვი, რომელმაც ხმების 6,78% მოაგროვა (პარტიის კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგი), მისმა პარტიამ კი ქვეყნის მასშტაბის ხმების საერთო რაოდენობის 1%-ც ვერ მოაგროვა (0,95%). რეგიონის დანარჩენი ოლქების მსგავსად, აქაც გაიმარჯვა „ქართულმა ოცნების“ კანდიდატმა გარსევან ნიორაძემ (56,77%). არჩევნებში აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ ვერც ერთ მუნიციპალიტეტში ეთნიკურმა აზერბაიჯანელმა მერობის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა. [15]

რაც შეეხება, საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებს, შეიძლება ითქვას, რომ პირველად სწორედ ამ დონეზე იყო მაღალი აზერბაიჯანული თემის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისადმი ინტერესი. პირველად რეგიონის სხვადასხვა საარჩევნო ოლქში შვიდი ეთნიკურად აზერბაიჯანელი დამოუკიდებელი კანდიდატი შევიდა საკრებულოებში. არჩევნების შედეგად, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში 42 (მათ შორის - 7 დამოუკიდებელი) მაჟორიტარული წესით არჩეული კანდიდატი შევიდა, მაგრამ ეს რაოდენობაც, ამ თემის მოსახლეობის ხვედრით ნილთან შედარებით, საკმაოდ დაბალი იყო.

მარნეულის საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული 18 წევრიდან 11 გახდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი. აღსანიშნავია, რომ ორ უბანში (1-ლ და მე-11 საარჩევნო უბნებში) გაიმარჯვეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ენმ-დან და „საქართველოს ძალოვან

ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობიდან“. დანარჩენ 16 ოლქში სახელისუფლებო პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა. მარნეულში პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატების გარდა, 8 დამოუკიდებელი კანდიდატიც იყრიდა კენჭს. მათ შორის, ერთ-ერთმა მეოთხე უბანში ხმების 42% მიიღო და გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო.[16]

ბოლნისში საკრებულოს მაჟორიტარულ კანდიდატებს შორის, 14-დან 7 აირჩიეს ეთნიკურად აზერბაიჯანელი. მათ შორის 1 იყო დამოუკიდებელი კანდიდატი კარა გულმამედოვი, რომელმაც მე-11 უბანზე გაიმარჯვა 34,44%-ით. ყველა დანარჩენი კანდიდატი კი სახელისუფლებო პარტიიდან აირჩიეს. [17]

დმანისის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული 16-დან 8 წევრი გახდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი. მათ შორის, მე-5 უბანში გაიმარჯვა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ზულფუგარ მიქაილოვმა, 59,81%-ით. დანარჩენ უბნებში სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.[18]

გარდაბანში 19-დან 8 ეთნიკურად აზერბაიჯანელი გახდა საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი. მათ შორის 2 იყო დამოუკიდებელი კანდიდატი: ილგარ მურადოვმა გარდაბნის გაიმარჯვა მე-8 საარჩევნო უბანში, ხოლო ვიდადი ემინოვმა – მე-15 საარჩევნო უბანში.[19]

საგარეჯოში 21-დან 4 გახდა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 4-დან 2 იყო დამოუკიდებელი კანდიდატი: კაზანფარ მამედოვმა მე-18 ოლქში (45.28%-ით), ხოლო ჰაჯან ალიევი მე-20 ოლქში (41.19%-ით) გაიმარჯვეს. კიდევ ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, მე-20 ოლქში, ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. [20]

ნალკის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული 30 წევრიდან 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი გახდა: ლაგოდეხში – 15-დან 1, თელავში – 18-დან 1. დანარჩენ ეთნიკული პარტიების/ბლოკის პროპორციული სიების 3 567 კანდიდატიდან მარტო 59 (1,61%) იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. 25 პოლიტიკური პარტიიდან 8 პარტიამ პროპორციულ სიებში უპირატესობა საერთოდ არ მიანიჭა ეთნიკურად აზერბაიჯანელებს.[25]

2016 - საპარლამენტო არჩევნები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 846 მაჟორიტარული კანდიდატიდან 23 (2,60%) იყო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი.[24] არჩევნების მონაწილე 25 პოლიტიკური პარტიის/ბლოკის პროპორციული სიების 3 567 კანდიდატიდან მარტო 59 (1,61%) იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. 25 პოლიტიკური პარტიიდან 8 პარტიამ პროპორციულ სიებში უპირატესობა საერთოდ არ მიანიჭა ეთნიკურად აზერბაიჯანელებს.[25]

ასეთი იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატების წარმომადგენლობა პროპორციულ სიებში, იქ, სადაც პოლიტიკურმა პარტიებმა ბარიერი გადალახეს: „ქართული ოცნების“ 155 კანდიდატიდან – 3 ეთნიკურად აზერბაიჯანელი (მე-20, 85-ე, 89-ე ადგილები). მათ შორის, 2 კანდიდატი (რუსლან გაჯიევი და სავალან მირზოევი) კენჭს იყრიდა 31-ე და 35-ე მაჟორიტარულ ოლქებში. „ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციულ სიაში – 200-დან 6 ეთნიკურად აზერბაიჯანელი (26-ე, 94-ე, 96-ე, 97-ე, 144-ე და 149-ე ოლქები). მათ შორის ოთხი კანდიდატი (სამირა ისმაილოვა, აზერ სულეიმანოვი, აკამედ იმამკულიევი, რამინ ბაირამოვი) აგრეთვე კენჭს იყრიდა მაჟორიტარულ ოლქებში. „პატრიოტთა ალიანსმა“, რომელმაც გადალახა 5%-იანი ბარიერი, პროპორციულ სიაში 195 კანდიდატიდან მხოლოდ ოთხი ეთნიკურად აზერბაიჯანელი შეიყვანა (37-ე, 43-ე, 83-ე, 84-ე ადგილებს იკავებდნენ). [25]

პოლიტიკური პარტიების პროპორციულ სიებში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები ისეთ ადგილებს იკავებდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში პარლამენტში მოხვედრის მარტო თეორიული შანსი ჰქონდათ. რამდენიმე პარტიამ პროპორციული სიის პირველ ოცეულში უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანელ კანდიდატებს: პოლიტიკურ გაერთიანება „სახალხო ხელისუფლებას“ პირველ ოცეულში 3 ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი ჰყავდა (მე-5, მე-17, მე-18), „თოფაძე მრეწველები ჩვენი სამშობლოს“ – 1 (მე-20), „საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას“ – 1 (მე-18-ე), „თავისუფალ დემოკრატებს“ – 1 (20-ე).

73 მაჟორიტარული ოლქის 856 კანდიდატიდან 23 იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. „ქართულ ოცნებას“ 73-დან 2 აზერბაიჯანელი კანდიდატი ჰყავდა. ნაციონალურ მოძრაობას - 72-დან 4, „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“, „პატრიოტთა ალიანსს“ და „თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის“ – 3-3, „დემოკრატიულ მოძრაობას“ და „რესპუბლიკურ პარტიას“ – 2-2, თავისუფალ დემოკრატებს, „ერთიან კომუნისტურ პარტიას“ და „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – 1-1. გარდა ამისა, 23-ე მაჟორიტარულ ოლქებში (საგარეჯო) ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი დამოუკიდებელი კანდიდატი იყრიდა კენჭს. [24]

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2012 წლამდე, როდესაც აზერბაიჯანული თემის მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელისუფლო პარტია ხმების დიდი უმრავლესობას აგროვებდა, სხვა პოლიტიკურ პარტიებს თითქმის შანსი არ ჰქონდათ. ეს სიტუაცია შედარებით შეიცვალა 2016 წლის არჩევნებში. რეგიონის 4 საარჩევნო ოლქში ეთნიკურად აზერბაიჯანელები შეადგენდნენ მოსახლეობის უმრავლესობას. ეს იყო გარდაბნის 31-ე, ბოლნისის 33-ე, მარნეულის 35-ე და 36-ე მაჟორიტარული ოლქები. 34-ე ოლქში, სადაც გაერთიანებული იყო დმანისისა და ნალკის მუნიციპალიტეტები, ასევე დაბა კაზრეთი ბოლნისიდან, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩევლები დაახლოებით მოსახლეობის 1/3-ს შეადგენდნენ. აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით იგივე იყო 23-ე მაჟორიტარულ ოლქშიც (საგარეჯო).

აზერბაიჯანული თემით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით, 31-ე, 33-ე, 35-ე და 36-ე მაჟორიტარულ ოლქებში საარჩევნო კამპანია აქტიურად მიმდინარეობდა. ამ ოლქებში ძირითადად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მმართველი პარტია და ენმ. საარჩევნო პერიოდი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა 36-ე (მარნეული) და 33-ე საარჩევნო ოლქებში (ბოლნისი). სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული შეფასებების მიხედვით, ეთნიკური ნიშნით მხარდაჭერის მობილიზება შეინიშნებოდა ორივე ოლქში.[26]

36-ე მაჟორიტარულ ოლქში (მარნეული) 8 კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისთვის. აქედან 4-მა პოლიტიკურმა პარტიამ უპირატესობა მიანიჭა ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატს. 36-ე ოლქს ჰქონდა ძალიან მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობა. მარნეულის ორი ოლქის საზღვარი ისე იყო გაყოფილი, რომ ქართული და სომხური დასახლებების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ოლქში (36-ე) აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, აზერბაიჯანული დასახლებების მოსახლეობა მთელი საარჩევნო ოლქის დაახლოებით 70%-ს შეადგენდა. გამარჯვებისთვის ძირითადი ბრძოლა „ქართული ოცნებიდან“ თამაზ ნავერიანსა და „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობიდან“ აკამამედ იმამკულიევს შორის მიმდინარეობდა. არჩევნების შედეგად დადგინდა, რომ აკამამედ იმამკულიევმა ქალაქ მარნეულის (მისი მშობლიური ქალაქია) ყველა ოლქში და საარჩევნო ოლქის იმ სოფლებში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ყველგან გაიმარჯვა. თამაზ ნავერიანს იგივე მაჩვენებელი ჰქონდა ქართულ და სომხურ დასახლებებში.[27]

მარნეულში ენმ-ის კანდიდატი აკამამედ იმამკულიევი საკმაოდ აქტიურად ატარებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან. 36-ე ოლქში ოპოზიციის დანარჩენი კანდიდატების საარჩევნო კამპანია პასიური ტემპით მიმდინარეობდა. შედარებით გამოირჩეოდა „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატი ისრაფილ მამელოვი.

არჩევნების დღეს საკმაოდ ხმაური იყო 36-ე საარჩევნო ოლქში, განსაკუთრებით კი, 46-ე უბანში (სოფ. ყიზილაჯლო). ცესკომ აქ შედეგები გააუქმა.[27]

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, აზერბაიჯანული თემის მჭიდროდ დასახლებულ მარნეულში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, 36-ე ოლქში ოპოზიციის კანდიდატმა გაასწრო სახელისუფლებო პარტიას. აკამამედ იმამკულიევა მიიღო ხმების 48,11% (45 უბნიდან 28-ში გაიმარჯვა). ეს ენმ-სთვის საუკეთესო მაჩვენებელი იყო ქვეყნის მასშტაბით. „ქართული ოცნებიდან“ თამაზ ნავერიანმა მიიღო ხმების 43,43%. „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატმა ისრაფილ ბაირამოვმა ხმების 5,16% მოაგროვა. დანარჩენი 5 კანდიდატის მიერ მიღებული საერთო მაჩვენებელი 3.52 %-ს შეადგენდა.[28].

23 ოქტომბერს გაუქმებულ 48-ე უბანზე (ყიზილაჯლო) ჩატარებულ განმეორებით არჩევნებში აკამამედ იმამკულიევა გაიმარჯვა, მაგრამ ეს დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად არ აღმოჩნდა საკმარისი.[29] არჩევნების მერე ტური 30 ოქტომბერს ჩატარდა. ცესკოს მონაცემებით, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა თამაზ ნავერიანმა, რომელმაც პირველ ტურში ხმების 43,43% მოაგროვა, ახლა 72,15%-ით გაიმარჯვა.[30]

33-ე საარჩევნო ოლქში (ბოლნისი) გამარჯვებისთვის 8 პოლიტიკური პარტიის კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ შორის ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს. აქაც, რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ძირითადი ბრძოლა „ქართულ ოცნებასა“ და ენმ-ის კანდიდატებს შორის მიმდინარეობდა. ამ საარჩევნო ოლქში „ქართულმა ოცნებამ“ ეთნიკურად ქართველ, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატს მიანიჭა უპირატესობა.[28]. სახელისუფლებო პარტიის კანდიდატის მსგავსად, ენმ-ის კანდიდატი სამირა ისმაილოვა აქტიურ საარჩევნო კამპანიას ატარებდა. საჯარო შეხვედრების პარალელურად, ის საარჩევნო კამპანიას კარდაკარის პრინციპითაც ატარებდა. კანდიდატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე სოფელში მისი საარჩევნო აგიტაციისას ხელშეშლის ფაქტები მოხდა.[31] დანარჩენი კანდიდატების საარჩევნო კამპანია სუსტი ტემპით მიმდინარეობდა, მათმა უმრავლესობამ ვერ შეძლო საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა უბანში საარჩევნო კამპანიის ჩატარება.

არჩევნების შედეგად დადგინდა, რომ სამირა ისმაილოვამ ხმების უმრავლესობა მოაგროვა ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში. რაც შეეხება, სახელისუფლებო პარტიის კანდიდატ გოგი მეშველიანს, მან ზოგიერთ აზერბაიჯანულ დასახლებაშიც გაიმარჯვა, თუმცა უფრო აქტიური მხარდაჭერა ჰქონდა იმ დასახლებებში, სადაც ეთნიკურად ქართველები ცხოვრობენ.[32] შედეგად, „ქართული ოცნებიდან“ გოგი მეშველიანმა 52,12% მოაგროვა, სამირა ისმაილოვამ კი – 39,74% (62 უბნიდან 30-ში გაიმარჯვა). ისმაილოვამ, იმამკულიევის მსგავსად, ენმ-ის მაჟორიტარულ კანდიდატებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. დანარჩენმა 6 კანდიდატის მიერ ერთობლივად მიღებული ხმა 8,14%-ს შეადგენდა. მათ შორის, ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატს – რამიზ ბაქიროვს, რაც 2,03% იყო.[28]

35-ე მაჟორიტარულ ოლქში (მარნეული) 10 პარტიის წარმომადგენელი იბრძოდა გამარჯვებისთვის. ინფორმაციისთვის, ამ საარჩევნო ოლქის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ ეთნიკური აზერბაიჯანელები. 10 პოლიტიკური პარტიიდან 5-მა უპირატესობა მიანიჭა ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატს.[28]. აქ ძირითადი

ბრძოლა ენმ-დან აზერ სულეიმანოვსა და „ქართული ოცნებიდან“ რუსლან გაჯიევს შორის მიმდინარეობდა. ორივე კანდიდატი აქტიურად ატარებდა საარჩევნო კამპანიას. დანარჩენი კანდიდატების საარჩევნო კამპანიები გარკვეული დასახლებებით შემოიფარგლებოდა და არ მოიცავდა საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა უბანს. არჩევნების შედეგად, რუსლან გაჯიევმა 56,31% მიიღო. აზერ სულეიმანოვმა, რომელმაც 2008 წლის და 2012 წლის არჩევნებში ხმების უმრავლესობა მიიღო, 36,58% მოაგროვა. ხმების 92,89 პროცენტი ამ ორ კანდიდატს შორის იყო განაწილებული. დანარჩენ კანდიდატებს შორის ყველაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა „თოფაძე – მრენველები ჩვენი სამშობლოს“ კანდიდატს – ფოლად ხალილოვს. [28] მან ხმების 2,66% მოაგროვა. ისიც აღსანიშნავია, რომ მარნეულის 36-ე საარჩევნო ოლქისგან განსხვავებით, წინასაარჩევნო პერიოდი და არჩევნები მშვიდად ჩატარდა.

34-ე მაჟორიტარულ ოლქში (დმანისი, ნალკა, კაზრეთი-ბოლნისიდან), 8 კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ შორის ერთი იყო ეთნიკური აზერბაიჯანელი. ამ საარჩევნო ოლქში „პატრიოტთა ალიანსმა“ უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანული თემის კანდიდატს – ნამიგ ბაირამოვს. წინასაარჩევნო პერიოდი ხმაურიანი იყო დმანისში. ნამიგ ბაირამოვსა და პარტიის ერთ წევრს სცემა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სპეციალისტმა.[33]

არჩევნების შედეგად, ბაირამოვმა ხმების დაახლოებით 2% მოაგროვა. წინასაარჩევნო პერიოდში ის არ გამოირჩეოდა მაღალი აქტივობით. ამ მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა კახაბერ ოქრიაშვილმა 66,17%-ით გაიმარჯვა.[28]

31-ე მაჟორიტარულ ოლქში (ქ. გარდაბანი და 15-მდე სოფელი) 11 კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისთვის. მათ შორის 7 იყო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებული რაიონების მსგავსად, აქაც ძირითადი ბრძოლა „ქართული ოცნებისა“ და ენმ-ის კანდიდატებს შორის მიმდინარეობდა. ორივე კანდიდატი – სავალან მირზოევი (ქართული ოცნება) და რამინ ბაირამოვი (ენმ) აქტიურად ატარებდა საარჩევნო კამპანიას. არჩევნების შედეგად, სავალან მირზოევმა 50,02%-ით გაიმარჯვა. რამინ ბაირამოვმა 33,53% მიიღო, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა გელა ხუციშვილმა – 6,27%, ხოლო „ლეიბორისტული“ პარტიიდან ნინი მეტრეველმა ხმების 4,33% მოაგროვა. ხმების 5.85% დანარჩენ 7 კანდიდატს შორის იყო განაწილებული.[28]

32-ე მაჟორიტარული ოლქი, რომელიც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარკვეულ სოფლებს და თეთრწყაროს მოიცავდა, 8 კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ შორის არც ერთი არ იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. [28]

კახეთის რეგიონში, სადაც აზერბაიჯანული თემი კომპაქტურად ცხოვრობს საგარეჯოს, ლაგოდეხისა და თელავის მუნიციპალიტეტებში, მარტო ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი კაზანფარ მამედოვი იყრიდა კენჭს დამოუკიდებელ კანდიდატად, 23-ე ოლქში (საგარეჯო). ჯამში, 23-ე ოლქში 7 კანდიდატი იყო რეგისტრირებული.[28] აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 1/3-ს შეადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები. მამედოვის საარჩევნო კამპანია ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებით შემოიფარგლებოდა. არჩევნების შედეგად, მან მიიღო ხმების 4,24%. მამედოვმა საგარეჯოს 50 საარჩევნო უბნიდან ორში გაიმარჯვა ხმების ძირითადი ნაწილი ეთნიკური აზერბაიჯანელი ამომრჩევლისგან მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ აზერბაიჯანული თემის მხარდაჭერის მოპოვება შეეძლო.[34] პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების 50+1 პროცენტი. მეორე ტურში კი „ქართული ოცნების“ კანდიდატმა რომან მუჩიაშვილმა გაიმარჯვა.[35]

საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მე-9 მოწვევის პარლამენტში 150 წევრიდან ეთნიკურად აზერბაიჯანელი 4 გახდა. მათ შორის იყვნენ „ქართული ოცნების“ მაჟორი-

ტარები რუსლან გაჯიევი და სავალან მირზოევი, ხოლო პროპორციული სიით – მახირ დერზიევი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროპორციული სიით კი უკვე მეოთხედ გახდა პარლამენტის წევრი აზერ სულეიმანოვი.[28] [36]

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ქვემო ქართლის რეგიონში სულ 7 მერობის კანდიდატი იყო ეთნიკური აზერბაიჯანელი. მათ შორის 5 – მარნეულში, 2 კი გარდაბანში იყრიდა კენჭს. ბოლნისსა და დმანისში, სადაც აზერბაიჯანული თემი შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას, მათ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ მიანიჭა უპირატესობა. კახეთის რეგიონში, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად ცხოვრობენ რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მერობის არც ერთი კანდიდატი არ ყოფილა ეთნიკურად აზერბაიჯანელი. [37]

2014 წლის მსგავსად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც სახელისუფლებო პარტიამ აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ არც ერთ რაიონში მერობის კანდიდატად უპირატესობა არ მიანიჭა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს. სახელისუფლებო პარტიის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მარნეულის მოსახლეობის ნაწილმა გააპროტესტა, არჩევნებამდე 6 კვირით ადრე „ქართულმა ოცნებამ“ მარნეულში მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა და მერობის კანდიდატი ამირამ გიორგაძე ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემურ აბაზოვით შეცვალა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელისუფლებო პარტიამ მერობის კანდიდატად აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი დაასახელა.[38]

მერობის პოსტის დასაკავებლად მარნეულში, ჯამში, 8 კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათ შორის 5 იყო აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი. სახელისუფლებო პარტიის გარდა, ძირითადად ოპოზიციურმა პარტიებმა ენმ-მ და „ევროპულმა საქართველომ“ უპირატესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელ კანდიდატებს მიანიჭეს. „ქართული ოცნების“, „ევროპული საქართველოსთან“ და შედარებით ენმ-ის კანდიდატების საარჩევნო კამპანია უფრო წარმატებული გამოდგა.[37]

არჩევნების შედეგად, სახელისუფლებო პარტიის კანდიდატმა თემურ აბაზოვმა 69,71%-ით გაიმარჯვა. ახლად შექმნილმა პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპულმა საქართველომ“ მარნეულში ხმების 19,14% მიიღო, რაც ქვეყნის მასშტაბით ამ პარტიისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი იყო. ენმ-ის კანდიდატმა, რომელმაც წინასაარჩევნო აქტივობები ოპონენტებთან შედარებით გვიან დაიწყო, ხმების 6,71% მოაგროვა. ხმების 4,44% კი დანარჩენ 5 კანდიდატს შორის გადანაწილდა.[37]

21-ე მაჟორიტარულ ოლქში (გარდაბანი) მერობისთვის 7 კანდიდატი იბრძოდა. ამ ოლქში ორმა პოლიტიკურმა პარტიამ – „ევროპულმა საქართველომ“ და „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალმა საქართველომ“ უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელს. არჩევნების შედეგად, სახელისუფლებო პარტიის კანდიდატმა რამაზ ბუდალაშვილმა 71,86%-ით გაიმარჯვა. ენმ-ის კანდიდატმა გელა ნებუნიშვილმა ხმების 9,4%, ხოლო „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა თენგიზ გასანოვმა 8,38% მოაგროვეს. რაც შეეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მეორე კანდიდატს, ალახვერდი ბახდიაროვს, რომელიც „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალ საქართველოს“ წარმომადგენდა, ხმების მხოლოდ 0,81% მოაგროვა.[37] რეგიონის აზერბაიჯანელი მოსახლეობის კომპაქტურად დასახლებულ დანარჩენ მუნიციპალიტეტებში (ბოლნისი, დმანისი) არც ერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატი არ იყრიდა კენჭს.

რაც შეეხება მაჟორიტარულ ოლქებს, მარნეულში საკრებულოს 20 მაჟორიტარიდან 13 ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ბოლნისში – 15-დან 7, გარდაბანში – 21-დან 9, დმა-

ნისში – 16-დან 8. მათ შორის 7 – „ქართული ოცნებიდან“, 1 კი – „შენების მოძრაობიდან“. ნალკაში – 30-დან 2, საგარეჯოში – 22-დან 4, თელავში – 20-დან 1, ლაგოდეხში კი – 16-დან 1. [39]

საკრებულოს პროპორციულ სიებს რაც შეეხება, ამ მხრივ, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლობა ძალზე სუსტი იყო. პროპორციული სიებით საკრებულოში ძირითადად „ქართული ოცნების“ წევრები შევიდნენ. მარნეულში სახელისუფლებო პარტიის 15-კაციანი პროპორციული სიის პირველ 12 წევრიდან არც ერთი არ იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. საბოლოო ჯამში, მარნეულის საკრებულოს 35 წევრიდან 15 აზერბაიჯანელი, 3 სომეხი და 17 ქართველია, ბოლნისში – 28-დან 12, დმანისში – 31-დან 11, გარდაბანში – 36-დან 15, ნალკაში – 44-დან 5, საგარეჯოში – 35-დან 4, ლაგოდეხში – 28-დან 2, თელავში 33-დან 1 გახდა ეთნიკურად აზერბაიჯანელი. კასპის, თეთრიწყაროს, მცხეთის და სხვა მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ქალაქ რუსთავში, სადაც არსებობს აზერბაიჯანული თემის დასახლებები, ამ თემის წარმომადგენლები საერთოდ არ იყვნენ წარდგენილი საკრებულოებში.[40]

რეგიონის არც ერთ მუნიციპალიტეტში, ეთნიკურად აზერბაიჯანელი არ გახდა საკრებულოს თავმჯდომარე. დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, სადაც აზერბაიჯანული თემი მოსახლეობის 2/3-ს შეადგენს და გარდაბანში 43,5%-ს ამ თემის წარმომადგენლისთვის ყველაზე მაღალ თანამდებობაა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია.[41], [42], [43] საინტერესოა, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, აზერბაიჯანელებით მჭიდროდ დასახლებულ მარნეულში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი არ გამხდარა არც საკრებულოს თავმჯდომარე და არც თავმჯდომარეს მოადგილე [44]. საგარეჯოში, სადაც აზერბაიჯანული თემი მოსახლეობის 1/3-ს, ლაგოდეხში კი 1/4-ს შეადგენს, აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრობის გარდა, სხვა თანამდებობა არც დაუკავებიათ. [45], [46].

2019 წლის მაისში მარნეულში მერობის შუალედური არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნებში 15 კანდიდატი იყრიდა კენჭს, მათ შორის 4 იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი. მერობის შუალედურ არჩევნებში სახელისუფლებო პარტიამ და მთავარმა ოპოზიციურმა ძალებმა უპირატესობა მიანიჭეს აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელ კანდიდატს. გამარჯვებისთვის „ქართული ოცნებიდან“ ქვემო ქართლის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე ზაურ დარგალი, „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობიდან“ ახალგაზრდა პოლიტიკოსი აგილ მუსტაფაევი, ხოლო „ევროპული საქართველოდან“ აკამამედ იმამკულიევი იბრძოდნენ. საარჩევნო პროცესებში აქტიურობით გამოირჩეოდა მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი ალი ბადიროვიც. დანარჩენი პარტიების კანდიდატები არ ყოფილან აქტიურები და მათი კანდიდატურა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. სახელისუფლებო პარტიამ, 2017 წლის მსგავსად, შუალედურ არჩევნებშიც უპირატესობა მიანიჭა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელ კანდიდატს. ისიც აღსანიშნავია, რომ მანამდე მმართველი პარტიის არც ერთი კანდიდატი არ იყო ადგილობრივი (მერაბ თოფჩიშვილი იყო თბილისიდან, ხოლო თეიმურ აბაზოვი – კასპიდან). არჩევნების შედეგად, ზაურ დარგალიმ ხმების 78,44%-ით გაიმარჯვა. აგილ მუსტაფაევმა ხმების 11,49% მიიღო, აკამამედ იმამკულიევმა – 7,73%, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატმა ალი ბადიროვმა – 1,2% მ. დანარჩენმა 11 კანდიდატმა ჯამში ხმების 1,14% მოგროვება მოახერხა.[47]

დასკვნა

ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, აზერბაიჯანული თემის საარჩევნო პროცესებში და, ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხი სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ბოლო წლების განმავლობაში დადებითი ტენდენციის მიუხედავად, დღესაც დაბალია აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების საკანონმდებლო და ადგილობრივ ხელისუფლებაში მონაწილეობა. აღნიშნულ ორგანოებში მათი წარმომადგენელთა რაოდენობა/პროცენტული მაჩვენებელი ბევრად უფრო დაბალია ქვეყნის მოსახლეობაში მათ ხვედრით წილთან შედარებით. პოლიტიკური პარტიების მხრიდან კვოტირების პრაქტიკის არარსებობა და თემის მიმართ დაბალი ინტერესი უარყოფით გავლენას ახდენს მათ პოლიტიკურ ჩართულობაზე.

რეკომენდაციები

- კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს კვოტირების ან წამახალისებელი სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობას და, შესაბამისად, კანდიდატად მონაწილეობის მიღებას, თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას და პოლიტიკური ძალაუფლების ბალანსირებას. ამ შემთხვევაში საჭიროა პარტიებმა კანდიდატებთან დაკავშირებით სწორი არჩევანი გააკეთონ, რადგან მათი პოლიტიკური ჩართულობა უფრო ეფექტიანი იქნება თვისებრივი წარმომადგენლობის შემთხვევაში, ვიდრე რაოდენობრივში.
- პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი კანდიდატების შერჩევისას და ასევე საარჩევნო სიებში წარდგენისას უნდა გაითვალისწინონ ეთნიკური უმცირესობებით, მათ შორის, აზერბაიჯანული თემით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების ეთნიკური მრავალფეროვნება. როგორც საკანონმდებლო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს პარტიულ სიებში თემის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ არჩევის რეალური შანსები. არჩევნების დროს მათი კანდიდატად მონაწილეობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარნეულისა და ნაწილობრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტებით და საჭიროა სხვა მუნიციპალიტეტებშიც ჩაერთონ არჩევნებში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელი კანდიდატები.
- უკანასკნელ წლებში ჩატარებული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით (სახელისუფლებო პარტიის გარდა, ოპოზიციური პარტიებიც იღებენ ხმების მნიშვნელოვან ნაწილს), პარტიებმა უფრო მოტივირებულად უნდა იმუშაონ და ეს არ უნდა შემოიფარგლოს მარტო წინასაარჩევნო პერიოდით. უფრო მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებული იდეოლოგიაზე და საჭიროა ეთნიკური უმცირესობების პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინება.
- პარტიებმა რეგიონალურ ორგანიზაციებში უნდა გააძლიერონ აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობა. ეს დაეხმარება არჩევნების დროს თემის წარმომადგენელი კანდიდატების მონაწილეობის გაძლიერებას და არჩევნებში, ზოგადად პოლიტიკურ პროცესებში, მათ ჩართულობას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი: ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>
2. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/wina-mowvevis-parlamentebi>
3. საქართველო, 2016 წლის ადგილობრივი არჩევნები, დაგროვებული გამოცდილება, ეუთო: ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008db4c>
4. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/res/old/other/7/7188.pdf>
5. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, დაგროვილი გამოცდილება, ხელმისაწვდომია: [file:///C:/Users/admin/Downloads/eleqtion_qart.pdf%20\(1\).pdf](file:///C:/Users/admin/Downloads/eleqtion_qart.pdf%20(1).pdf)
6. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results2010.cec.gov.ge/major.html>
7. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/geo/list/show/9745-registrirebuli-partiuli-siebi-7131>
8. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2012.cec.gov.ge/olq_22.html
9. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results2014.cec.gov.ge/>
10. ცესკომ აკამედ იმამკულიევს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრა, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/32421/>
11. სასამართლომ აკამედ იმამკულიევი გამგებლობის კანდიდატად აღადგინა, ხელმისაწვდომია: www.tabula.ge/ge/story/84251-sasamartlom-akmamed-imamkulievi-gamgeblobis-kandidatad-aghadgina
12. www.tabula.ge/ge/story/84392-qartuli-ocnebis-marneulis-gamgeblobis-kandidati-kandidaturas-ar-moxsnis
13. ქართული ოცნების მარნეულის გამგებლობის კანდიდატი კანდიდატურას არ მოხსნის, ხელმისაწვდომია: www.ivote.ge/siakhleebi/archevnebi/20291-akhmed-imamkulievi-marneulshiaucileblad-gavimarjv.html?lang=ka-GE
14. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/gamgebeli_22.html
15. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results2014.cec.gov.ge/>
16. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_22.html
17. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_23.html
18. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_24.html
19. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_21.html
20. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_11.html
21. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_25.html
22. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_15.html
23. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results2014.cec.gov.ge/maj_17.html
24. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20161008.cec.gov.ge/>

25. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/geo/list/show/108817-saarchevno-subieqtetbis-mier-saqartvelos-parlamentis-2016-tslis-8-oqtombris-archevnebisvis-tsardgenili-partiuli-siebi>
26. საქართველო, პარლამენტის არჩევნები: 2016 წლის 8-30 ოქტომბერი: ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/299306?download=true>
27. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results20161008.cec.gov.ge/maj_36.html
28. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20161008.cec.gov.ge/>
29. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/geo/list/show/109899-22-oqtombris-ganmeorebiti-kenchiskris-tsinastsari-shedegebi>
30. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20161030.cec.gov.ge/>
31. <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18879&lang=geo>
32. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results20161008.cec.gov.ge/maj_33.html
33. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი, ხელმისაწვდომია: <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/საპარლამენტო%20არჩევნები%202016.pdf>
34. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results20161008.cec.gov.ge/maj_23.html
35. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20161030.cec.gov.ge/>
36. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/deputatebis-sia>
37. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20171021.cec.gov.ge/>, CSEM ინტერაქტიული რუკა <http://csem.ge/>
38. ქართულმა ოცნებამ მარნეულის მერობის კანდიდატი ამირან გიორგაძე თეიმურაზ აბაზოვიტ შეტსვალა, ხელმისაწვდომია: <https://imedinews.ge/ge/archevnebi/27911/qartulma-otsnebam-marneulis-merobis-kandidati-amiran-giorgadze-teimuraz-abazovit-shetsvala>
39. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: https://results20171021.cec.gov.ge/maj_22.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_23.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_24.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_21.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_25.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_17.html
https://results20171021.cec.gov.ge/maj_15.html
40. კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისთვის საქართველოში, 2017, ხელმისაწვდომია: http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf
41. დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://www.dmanisi.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tsevrebis>
42. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <https://bolnisi.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tavjdomaris-moadgile>
43. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://gardabani.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tavjdomaris-moadgile>
44. მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://marneuli.gov.ge/>
45. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://www.lagodekhi.gov.ge/ge/sakrebulo-cevrebis>
46. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი: ხელმისაწვდომია: <http://sagarejo.gov.ge/ge/sakrebulo-cevrebis>
47. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია: ხელმისაწვდომია: <https://results20190519.cec.gov.ge/>

ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ორხან პირვერდიევი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება თვითმმართველობის გადაწყვეტილების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა-ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლას და ამ საკითხის შესაძლო მოგვარების გზებს. ეთნიკური უმცირესობების დაბალი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, კვლავაც აქტუალური და მწვავე პრობლემაა. ეს პრობლემა დროდადრო თავს იჩენს არჩევნებისას და სხვა პოლიტიკურ საკითხებში.

შესავალი

დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელი მართვისა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობაა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რადგანაც სწორედ მუნიციპალური მართვის ორგანოების უფლებამოსილებას წარმოადგენს მოქალაქეთა პირველადი, კომუნალური საჭიროებების გადაწყვეტა.¹ მიუხედავად ამისა, საქართველოში ეთნიკური უმცირესობები არ არიან სათანადოდ ჩართული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში. ადგილობრივი თვითმმართველობის დანიშნულება და არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს ადგილობრივი საზოგადოების პრობლემათა დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, საკუთარი საზოგადოების ბედზე პასუხისმგებლობა და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა. აუცილებელია, ამ პროცესში ჩართული იყოს ეთნიკური უმცირესობის თითოეული წარმომადგენელი. რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსახლეობის მონაწილეობაზე ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა მომავალში გამოსწორდეს ის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გავლენით ფორმირდება ბარიერი ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველ ორგანოს შორის. ნაშრომი მოიცავს როგორც აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის, ასევე სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

დღეისათვის ადგილობრივ თვითმმართველობებში ეთნიკური უმცირესობები შემდეგნაირად არიან წარმოდგენილი. მარნეულის მუნიციპალიტეტი – საკრებულოს 33 წევრი, ეთნიკური უმცირესობის 20 წარმომადგენელი;² ბოლნისის მუნიციპალიტეტი – 30 წევრი, უმცირესობის 13 წარმომადგენელი;³ დმანისის მუნიციპალიტეტი – საკრებულოს 32 წევრი,

1 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები – არასაკმარისად გამოყენებული რესურსი სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში. 30 მარტი, 2017. <https://transparency.ge/ge/blog/mokalaketa-chartulobis-mekanizmebi-arasakmarisad-gamoqenebuli-resursi-samegrelo-zemo-svanetis-m>

2 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, www.marneuli.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tsevrebi/page/1

3 ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, www.bolnisi.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tsevrebi

უმცირესობის 11 წარმომადგენელი;⁴ გარდაბნის მუნიციპალიტეტი – საკრებულოს 36 წევრი, უმცირესობის 14 წარმომადგენელი;⁵ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი – საკრებულოს 26 წევრი, უმცირესობის 24 წარმომადგენელი;⁶ ახალქალაქის მუნიციპალიტეტი – საკრებულოს 38 წევრი, უმცირესობის 32 წარმომადგენელი.⁷ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მერები კი მხოლოდ მარნეულის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებს ჰყავთ. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, სამცხე-ჯავახეთში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროცენტულად აღემატება ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებისას. მიუხედავად ამისა, ჩართულობის პრობლემა მწვავედ დგას როგორც სომხებით, ისე აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში.

ღია საზოგადოების ფონდის მიერ 2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებული ფაქტორებიდან ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ქართული ენის ცოდნის დონე, რომელიც, კვლევის მიხედვით, დაკავშირებულია ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობასთან და კონკრეტულ პროცესებში მონაწილეობასთან. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ქვემო ქართლში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ენის არცოდნის გამო ვერ საქმდებიან ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებში. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, მიუხედავად ქართული ენის ცოდნის დაბალი დონისა, ეთნიკური სომხები ფართოდ არიან წარმოდგენილი ადგილობრივ თვითმმართველობაში და, როგორც წესი, მათი დიდი ნაწილი არ ფლობს სახელმწიფო ენას, რაც ხელს უშლის ეფექტურ მმართველობას და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას. გარდა ამისა, რაც უფრო მაღალია ქართული ენის ცოდნის დონე, მით უფრო მატულობს რესპონდენტთა ინფორმირებულობაც და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაც. კერძოდ, კვლევაში დაბალი აქტივიზმის მიზეზებად სახელდება: პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა, ოჯახური დატვირთვა და ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნა.⁸ ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის დაბალი დონე ადგილობრივ თვითმმართველობებში განპირობებულია მრავალი პრობლემის არსებობით. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ენობრივი ბარიერი, რომელიც გამონწვეულია, როგორც ქართულენოვან მოსახლეობასთან კონტაქტის ნაკლებობით, ისე 1990-იან წლებში განათლების სისტემაში გაჩენილი ზოგიერთი ხარვეზით, როგორცაა, მაგალითად, რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის კვალიფიციური და ორენოვანი მასწავლებლების ნაკლებობა, ენის სწავლების ერთიანი და თანამედროვე მეთოდური და მეცნიერული მიდგომების არარსებობა და ასე შემდეგ.⁹

მოსახლეობის დაბალი აქტივობის კიდევ ერთი მაგალითია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ყველაზე დაბალი აქტივობა მარნეულში დაფიქსირდა, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 36,47 პროცენტმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.¹⁰ ამის მიზეზად კი შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა ფაქტორი, საიდანაც ყველაზე მთავარი ისევ სოფლის წარმომადგენელი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების სახელმწიფო ენის არცოდნაა, რაც ხელს უშლის მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში უფრო

4 დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, www.dmanisi.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tsevrebi

5 გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდი, <http://gardabani.gov.ge/sakrebulo/sakrebulo-tsevrebi>

6 საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. <http://nala.ge/post/242306-ninowmindis-municipaliteti>

7 საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია. <http://nala.ge/post/241523-axalqalaqis-municipaliteti>

8 ღია საზოგადოების ფონდი. 2019, 17 მაისი. *ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა*. <https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/>

9 ბტკ პოლიტიკის კვლევის ჯგუფი. 2008. *ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი*

10 1TV.ge. 2018, 28 ოქტომბერი.

<https://1tv.ge/news/saprezidento-archevnebeze-yvelaze-maghal-i-aqtivoba-qedashi-kholo-yvelaze-dabali-marneulshi-dafiqsirda/>

აქტიურად ჩართვას.

ადგილობრივ თვითმმართველობაში სუსტი ჩართულობის კიდევ ერთი მიზეზია პოლიტიკური პარტიების პასიურობა. პოლიტიკური სუბიექტები თავის პარტიულ პროგრამებში უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ზედაპირულად განიხილავენ ან საერთოდ უგულებელყოფენ. პარტიებს არც საკმარისი რესურსი აქვთ, მაგალითად, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არ გააჩნიათ ძლიერი პარტიული ინფრასტრუქტურა. არ აქვთ კავშირი პოტენციურ ამომრჩეველთან, ვერ აწვდიან მას ინფორმაციას პარტიული პროგრამის შესახებ. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის პასიურ უფლებას, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 850 მაჟორიტარი კანდიდატიდან 34 იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რაც კანდიდატების 0.3% შეადგენს. ხოლო პარტიულ პროპორციულ სიებში – 12 დეპუტატობის კანდიდატი, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია 25 პოლიტიკური სუბიექტის პარტიულ სიაზე. პროპორციული სისტემისგან განსხვავებით კი, მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ყველგან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია დეპუტატობის კანდიდატად, რადგან ამით პოლიტიკური პარტიები ცდილობენ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა და რაც შეიძლება მეტი ხმა მოიპოვონ. წარმომადგენელ კანდიდატებს კი ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ მყარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმა და პარტიებს იმის მიხედვით იცვლიან, თუ რომელი პოლიტიკური ძალაა ხელისუფლებაში.¹¹

ასევე აღსანიშნავია, რომ თვითონ პოლიტიკური პარტიები ვერ არჩევენ ისეთ ადგილობრივ წარმომადგენლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პოლიტიკური განათლებისა და შესაძლებლობების იმ მინიმუმს, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვასა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას. მაგალითად, საქართველოს პარლამენტში ოთხი ეთნიკურად აზერბაიჯანელი დეპუტატია წარმომადგენილი, რომლებიც გამოირჩევიან პასიურობითა და სესიებზე არდასწრებით, მათგან მხოლოდ ორი მეტ-ნაკლებად ფლობს სახელმწიფო ენას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას სახელმწიფო ენის აუცილებელი ფლობის შესახებ. არც მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრების უმეტესობა ფლობს სახელმწიფო ენას. პარლამენტის დეპუტატი და, ზოგადად, ნებისმიერი საჯარო მოხელე არის ადგილობრივი მოსახლეობის სახე უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებსა და საკანონმდებლო ორგანოში. მიგვაჩნია, რომ აუცილებელი და სავალდებულოცაა ნებისმიერმა საჯარო მოხელემ იცოდეს სახელმწიფო ენა, განსაკუთრებით, თუკი რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია.

დასკვნა

ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტის საკითხებში კვლავაც გადაუჭრელ ამოცანად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ეთნიკურ უმცირესობათა შორის სამოქალაქო აქტივიზმის ზრდა, ეს ჯერჯერობით არ ასახულა მათ ჩართულობაზე თვითმმართველობის საკითხებში. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით სხვადასხვა უწყებისთვის შევიმუშავეთ რიგი რეკომენდაციებისა.

11 ამირხანიანი, გიორგი. 2017. ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პრობლემა ქართულ პოლიტიკაში. <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-amirxhaniani-etnikuri-umciresobebis-chartuloba/28856016.html>; 15 ნოემბერი, 2017

რეკომენდაციები

- **არასამთავრობო სექტორისთვის** – ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მეტი აქტიურობა, არაფორმალური განათლების მხარდაჭერა, პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთათვის უნარ-ჩვევების ასამაღლებელი კურსების ორგანიზება, ადგილობრივი მედიაარესურსების მხარდაჭერა, „4+1 პროგრამის“ კურსდამთავრებულთა ჩართვა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში.
- **ადგილობრივი ხელისუფლებისთვის** – ადგილობრივ თვითმმართველობაში შეიქმნას შესაბამისი საკონსულტაციო სამსახური აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, „4+1 პროგრამის“ კურსდამთავრებულთა რესურსის გამოყენება და მათი გამჭვირვალე კონკურსის გზით დასაქმება სოფლის რწმუნებულის, მერიის აიპების ან აპარატის თანამშრომლის პოზიციებზე.
- **პოლიტიკური პარტიებისთვის** – საპარლამენტო პროპორციულ სიაში, სულ მცირე, ყოველი მეათე წევრის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლის ჩართვა, რათა დაცული იყოს ბალანსი მოსახლეობის რაოდენობასა და დეპუტატებს შორის, საკრებულოს სიასა და მაჟორიტარის პოზიციებზე კანდიდატის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭოს ქართული ენის კარგად მცოდნეებს.

რეზიუმე

„გენდერული ბიუჯეტი“ დღევანდელ საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ ქალთა უფლებებსა და თანასწორობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტის ინიციატივებმა შეიძლება მრავალი ფორმა მიიღოს, მათი უმთავრესი მიზანი ბიუჯეტის პროცესზე გავლენის მოხდენაა და პოლიტიკის შემქმნელების დახმარება, რომ საჯარო პოლიტიკამ ხელი შეუწყოს გენდერული უთანასწორობის შემცირებასა და ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად განვიხილეთ რამდენიმე გზა. ერთი – ადრეული ქორწინების პრევენცია, მეორე – ქალებისთვის შესაფერისი შრომითი პირობების შექმნა, რადგანაც ისინი ძალიან ბევრს შრომობენ სოფლის შინამეურნეობებში, რაც არაანაზღაურებადი სამუშაოა, ხოლო მესამე – ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა შრომის ბაზარზე.

პრობლემის გადაჭრის ამ სამ გზას შორის საუკეთესოდ მივიჩნიეთ პირველი – ორგანიზაციული ერთეულის შექმნა, რომელიც იმუშავებს ცალკეულ ოჯახებთან მათი ქალიშვილების ქორწინების სწორი ასაკის დასადგენად. პრობლემის გადაწყვეტის ეს გზა უფრო ეფექტიანი გამოჩნდა.

შესავალი

ბოლო წლებში ჩვენი მოსაზრებები გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებით უფრო დაზუსტდა და გარკვეულწილად გაუმჯობესდა. ეს ეხება აგრეთვე საკითხებსაც, თუ რატომ აქვს საზოგადოებრივ პოლიტიკას განსხვავებული ეფექტი ქალსა და მამაკაცზე. ეს შეხედულებები მოქმედებენ მაკროეკონომიკური და, განსაკუთრებით, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე.

თემის არჩევისას გავეცანით ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებას გენდერულ ბიუჯეტზე. კვლევის მიზნია დადგინდეს, თუ როგორია გენდერული ბიუჯეტი კონკრეტულად ახალქალაქში და რა არის მისი სრულყოფის გზები. მოვიძიეთ შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია, რათა მოსახლეობისათვის უფრო სიღრმისეულად და გასაგებად წარგვედგინა გენდერული ბიუჯეტი.

გენდერული ინტეგრაციის მისაღწევად აუცილებელია იმის შესწავლა, თუ ბიუჯეტის შედგენის პროცესში რამდენად იცავს აუცილებელ ნორმებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტი.

მიუხედავად იმისა, რომ „გენდერული ბიუჯეტის“ დაგეგმვის ინიციატივებმა შეიძლება შეიძინოს სხვადასხვა ფორმა, მათი უმთავრესი მიზანი რეალურ პროცესებზე გავლენის მოხდენაა.

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პოლიტიკის შემქმნელებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ შეიძლება საჯარო პოლიტიკამ ხელი შეუწყოს გენდერული განსხვავებების შემცირებას და გააუმჯობესოს ეკონომიკური შედეგები.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას არსებული გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება იძლევა საბიუჯეტო რესურსების უფრო ეფექტიანი გადანაწილების საშუალებას და ხელს უწყობს ამ მხრივ საბიუჯეტო პროცესის დახვეწას. აღსანიშნავია, რომ

გენდერული ბიუჯეტი არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტების შედგენას, არამედ იგი წარმოადგენს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას.

კვლევისას შევისწავლეთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. საინტერესოა, თუ რა ვითარებაა გენდერული ბიუჯეტის დაცვის მხრივ. ეს გაამარტივებს პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

გენდერული უთანასწორობა შენარჩუნებულია. ქალები ისევ უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებენ, გადატვირთული არიან მუშაობით, განიცდიან გენდერულ ძალადობას, აქვთ შრომის ბაზარზე ნაკლები შესაძლებლობები და მათი უფლებები შეზღუდულია ბევრ სხვა სფეროშიც.

იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა დამყარებულიყო გენდერული ურთიერთობები საზოგადოებაში, ინსტიტუციებსა და მმართველობაში და გაგება იმისა, რომ საჭიროა გენდერული მეინსტრიმინგი გენდერული უთანასწორობის დასაძლევად, თანაბარი საზოგადოებისკენ გადადგმული აუცილებელი ნაბიჯია.

საკმარისი არ არის სპეციალური პროგრამებისა და სქემების მიღება ქალებისთვის, რომლებიც დახმარებასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფენ კონკრეტულ სფეროებში. მიდგომა, სადაც წარმატება ფასდება ამ სპეციალურ პროგრამებში ჩართულ ქალთა რაოდენობის მიხედვით, უკიდურესად არასწორია. სამთავრობო ინსტიტუტებში გენდერული ექსპერტიზის გაზრდა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ვიცოდეთ როგორ გავუმკლავდეთ გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა გამოვლინებებს.

გენდერული მეინსტრიმინგის პირველი ნაბიჯი არის ორგანიზაციის და ცნობიერების ფორმირება, თანაბარი შესაძლებლობების სტრუქტურული და კულტურული ბაზის შემუშავება. ეს ნაბიჯი მოიცავს საბიუჯეტო პოლიტიკის მიზნების ფორმულირებას და პასუხისმგებლობის განსაზღვრას.

მეორე ნაბიჯია გენდერული განსხვავების სწავლება. გენდერული ფისკალური პოლიტიკის შემუშავების მიზნით ცნობილი უნდა იყოს შესაძლო ზემოქმედება მოსახლეობის ცხოვრებაზე ან განხორციელებული საბიუჯეტო ქმედებების ნაწილზე.

სხვადასხვა ასპექტის აღრიცხვა გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ნაწილია. გენდერული ბიუჯეტი არის შედარებით ახალი კონცეფცია, რომელიც საშუალებას აძლევს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში. გენდერული ბიუჯეტები მიმართულია მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფის – ქალთა და მამაკაცთა, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებებზე და ინტერესებზე და მათი მიზანია საზოგადოებრივი რესურსების გამოყოფა ისე, რომ დაკმაყოფილდეს გადაუდებელი საჭიროების მქონე პირთა და ჯგუფთა მოთხოვნები.

გენდერული ანალიზის საჯარო პოლიტიკაში ინტეგრაციის ამ მცდელობებმა ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღეს, ნაწილობრივ პეკინში ჩატარებული 1995 წლის ქალთა მსოფლიო კონფერენციის ძლიერი იმპულსის გამო.¹

ბიუჯეტის შემუშავების ასეთი ფორმა ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას გენდერული თანასწორობის განვითარების მხრივ მთავრობის საქმიანობასთან მიმართებით და ასევე ხელს უწყობს ბიუჯეტებისა და პოლიტიკის ფოკუსირებას გენდერულ თანასწორობაზე. იგი მიზნად ისახავს არა მხოლოდ იმ პროგრამების ანალიზს, რაც

1 „პეკინის პლატფორმა“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2008, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10881>

კონკრეტულად ქალებს ეხება, ანუ ცალკეული „ქალური“ ბიუჯეტის მომზადებას, არამედ იგი შექმნილია ყველა სამთავრობო პროგრამისა და პოლიტიკის გენდერული ეფექტების ანალიზისთვის. მაგალითად, სუფთა წყლის მიწოდების ხარჯის შემცირებამ შეიძლება არაპროპორციულად დიდი ზიანი მიაყენოს ქალებსა და გოგონებს, რადგან ჩვეულებრივ, სწორედ მათი დრო და ენერჯია ხმარდება ოჯახის სუფთა წყლით უზრუნველყოფას, როცა მასთან წვდომა გართულებულია.

ანალოგიურად, სკოლების საფასურის ზრდამ შეიძლება არაპროპორციულად შეამციროს გოგონების სკოლაში სიარულის შესაძლებლობა, ხოლო საბავშვო ბაღის ხარჯების ზრდამ ასევე შეიძლება გაზარდოს ქალების ტვირთი, რომლებსაც ბავშვების აღზრდის ვალდებულება ეკისრებათ. და რადგან გენდერული უთანასწორობის შემცირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სარგებელი, მაგალითად, უმაღლესი განათლების გავლენა ნაყოფიერებასა და ბავშვების ჯანმრთელობაზე, შეიძლება მხოლოდ საშუალოვადიან პერიოდში გამოჩნდეს, მნიშვნელოვანია გენდერული ბიუჯეტების მომზადება შევიდეს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ბიუჯეტების დაგეგმვაში.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა გენდერული უთანასწორობის შემცირება აუცილებლად ეკონომიკურ ზრდას კი არ ეხმარება, არამედ უბრალოდ ქმნის უფრო სამართლიან საზოგადოებას, ეს არის საბაზი მთავრობისთვის, რომ ჩაერიოს ამ საქმეში.

წარსულში ბევრ ქვეყანაში ღიად ხდებოდა დისკრიმინაცია ქალთა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს მათი რიცხვი მცირდება.

ძირითადი დასკვნებით, სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული ბიუჯეტის განხორციელების ინიციატივებისა და შედეგების მოცულობა დიდწილად დამოკიდებულია ქვეყანაში საერთაშორისო დახმარების ხელმისაწვდომობაზე. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ხელისუფლების ყველა დონის პოლიტიკური ნება უნდა იყოს სახელმწიფო განვითარების პროგრამებში გენდერული ბიუჯეტირების შემუშავება.

არასამთავრობო ორგანიზაციებს და საზოგადოებას არ აქვთ სერიოზული გავლენა ბიუჯეტის პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის უგულვებლყოფასთან დაკავშირებით.

ბევრ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის შესახებ კანონები შედარებით მარტივად მიიღება და ფორმდება სტრუქტურები, თუმცა, კანონების განხორციელება ყოველთვის არ ხდება, გენდერული პროგრამებისთვის რესურსების მხარდაჭერა კი ძალზე სუსტია.

მეინსტრიმინგის მიდგომის ძირითადი გაგება არის ის, რომ გენდერი არის სტრუქტურული განსხვავება, რომელიც გავლენას ახდენს მთელ მოსახლეობაზე. გენდერული ნეიტრალიტეტის შესახებ პრეტენზიულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება სხვადასხვა გავლენა მოახდინოს ქალებსა და მამაკაცებზე, განსაკუთრებით, თუ ასეთი ეფექტი არ იყო გათვალისწინებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის ინიციატივები ასევე სერიოზულ გავლენას ახდენს ქალთა და მამაკაცთა ცხოვრებაზე, მაგრამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და ეკონომიკის დარგის ექსპერტებიც კი უგულვებლყოფენ საბიუჯეტო პოლიტიკის გენდერულ ასპექტებს.

მთელ მსოფლიოში საბიუჯეტო ინიციატივების გენდერული შემოწმება ცხადყოფს, რომ „გენდერულად ნეიტრალური“ მიდგომა ეკონომიკურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი ბიუჯეტებში, უზრუნველყოფს უთანასწორობის სტრუქტურების რეპროდუქციას, რაც გამონეუულია ქალთა და მამაკაცთა ყოფნით სოციალურ და ეკონომიკურ პოზიციებზე.

სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გავლენის შედარება, ერთი მხრივ, ქალთა და გოგონათა სიტუაციისა და სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ – მამაკაცებისა და ბიჭებისა, უზრუნველყოფს ხელისუფლების პასუხისმგებლობას ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებული ვალდებულებების შესახებ.

ნათელია, რომ გენდერული ბიუჯეტის ფარგლებში მუშაობა ფართო სპექტრს მოითხოვს კანონმდებლობისა და ბიუჯეტის შედგენის სფეროში. ეს არის ე.წ. „შესვლის წერტილები“, რომელთაგან მთავარია:

- გენდერული სტატისტიკის შემუშავება, რომელიც გვაძლევს აუცილებელ ინფორმაციას უკეთესი ორიენტაციისთვის და გენდერული ასიმეტრიის და დისბალანსის გამოსწორებისთვის;
- გენდერული საკითხების შესახებ ინფორმაციისა და საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება, რაც, პირველ რიგში, გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნული პოლიტიკის გარკვევას ითვალისწინებს;
- ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნა გენდერულ ბიუჯეტში.

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი მოსაზრებები ქცევის გენდერულ განსხვავებებთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გაუმჯობესდა საზოგადოებრივი პოლიტიკა ქალისა და მამაკაცის სხვადასხვა ეფექტებზე, გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური და, განსაკუთრებით, ფისკალური პოლიტიკის შემუშავებაზე.

იმის აღიარება, რომ გენდერული უთანასწორობა საბედისწეროა და რომ მთავრობის ბიუჯეტები არ არის გენდერულად ნეიტრალური, ნიშნავს, რომ საჭიროა ბიუჯეტის პროცესში ჩართული იყოს გენდერული მოსაზრებები.

ბიუჯეტის წარმოება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, ერთ-ერთი გზაა, რომლითაც ქვეყნებს საშუალება ეძლევათ მკაფიოდ ამოიცნონ პოლიტიკის ზომები, რომლებიც საჭიროა გენდერული განსხვავებების შესამციროებლად; გენდერული ბიუჯეტის შედგენა მოიცავს საბიუჯეტო პროგრამების სისტემურ ანალიზს და პოლიტიკურ ღონისძიებებს ქალებზე ზემოქმედებით.

სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების შექმნისა და გამოყენების საშუალებით ქალთა ბიუჯეტებს შეუძლიათ გადამწყვეტი წვლილი შეიტანონ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა:

- ქალის როლისა და წვლილის შეცნობა და გადაფასება საბაზრო ეკონომიკაში, ასევე „ზრუნვის ეკონომიკის“ ისეთ სფეროებში, როგორიცაა შთამომავლობის და შინამეურნეობების რეპროდუქცია, რომლებიც, ერთი შეხედვით, არ ჩანს და ამკარად არ არის შეფასებული, მაგრამ რეალურად მოქმედებს მაკროეკონომიკურ არჩევანზე, რამაც შეამცირა ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და განათლების ხარჯები;
- ქალთა ლიდერული პოზიციის გაძლიერება პოლიტიკაში, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პარლამენტში, ბიზნესში, მედიაში, კულტურაში, რელიგიურ ორგანიზაციებში, პროფკავშირებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში;
- ტრანსფორმაციის პროცესის ორგანიზება საზოგადოების ყველაზე ღარიბი და მოწყვლადი წევრების ინტერესებისა და საჭიროებების უზრუნველსაყოფად;
- ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება ადვოკაციების სფეროში, კერძოდ, მაკროეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ქალების მონაწილეობის დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტის ინიციატივებმა შეიძლება მრავალი ფორმა მიიღოს, მათი უმთავრესი მიზანია ბიუჯეტის პროცესზე გავლენის მოხდენა და პოლიტიკის შემქმნელების დახმარება იმაში, თუ როგორ შეიძლება ხელი შეუწყოს საჯარო პოლიტიკამ გენდერული უთანასწორობის შემცირებას და ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას.

პრობლემის გადაწყვეტის პირველი გზა არის ადრეული ქორწინების პრევენცია. გასათვალისწინებელია, რომ 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალების 23 პროცენტი დაქორწინებულია 18 წლამდე/წლის ასაკში, რაც მათ დაუცველებს ხდის, რადგანაც არ არიან მზად ოჯახის შექმნისა და ნაადრევი დედობისთვის. ასეთ გოგონებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ უმაღლესი განათლება, ისინი ვერ ივითარებენ პროფესიულ უნარჩვევებს, ეზღუდებათ საზოგადოებაში დამკვიდრების შესაძლებლობა. უნდა გატარდეს პოლიტიკა მშობლების დასარწმუნებლად, რომ ქალიშვილებს არ აიძულონ ადრეულ ქორწინება, რომ მათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცენ, რათა შეიძინონ გარკვეული პროფესიული უნარები. ამ მიზნით აუცილებელია ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყოს დაფინანსება ისეთი ორგანიზაციული ერთეულის შესაქმნელად, რომელიც გააერთიანებს ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, იურისტებს და პედაგოგებს, რათა მათ ცალკეულ ოჯახებთან იმუშაონ მათი ქალიშვილების ქორწინების სწორი ასაკის დასადგენად.

პრობლემის გადაწყვეტის მეორე გზად მიგვაჩნია ქალებისთვის შესაფერისი შრომითი პირობების შექმნა, რადგანაც ისინი ძალიან ბევრს შრომობენ სოფლის შინამეურნეობებში, რაც არაანაზღაურებადი სამუშაოა. მნიშვნელოვანია, რომ ქალებს ჰქონდეთ საკუთარი შრომით მოპოვებული შემოსავალი. მიზანშეწონილია რეგიონში კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების გახსნა, სადაც სოფლის ქალებს შეეძლება დასაქმება.

პრობლემის გადაწყვეტის მესამე გზად კი გამოიკვეთა ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესება შრომის ბაზარზე. კულტურული და სოციალური ნორმები ხელს უშლის ქალებს გააცნობიერონ თავიანთი ეკონომიკური პოტენციალი, ხოლო უსაფრთხოების საკითხები ზღუდავს მათ ფიზიკურ და ეკონომიკურ მობილურობას. გარდა ამისა, გენდერული უთანასწორობა და სამუშაო ადგილის პირობების არარსებობა ქალებს კიდევ უფრო ურთულეს შრომით ბაზარზე აქტიურ მონაწილეობას.

პრობლემის გადაჭრის ამ სამ გზას შორის საუკეთესოდ მიგვაჩნია პირველი – ორგანიზაციული ერთეულის შექმნა, რომელიც იმუშავებს ცალკეულ ოჯახებთან მათი ქალიშვილების ქორწინების სწორი ასაკის დასადგენად. პრობლემის გადაწყვეტის ეს გზა უფრო ეფექტიანად გვესახება, რადგან ამ გზით ქალების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა დაიწყება უფრო ადრეული ასაკიდან და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში არა მარტო ადრეულ ასაკში დაქორწინების რიცხვი შემცირდება, არამედ მათი შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობაც გაიზრდება.

რეკომენდაციები

ტრადიციულად, ოჯახები და საზოგადოების უხუცესი წევრები წყვეტენ, როდის და ვისზე უნდა დაქორწინდეს გოგონა. აუცილებელია ამ მხრივ მათი განათლება შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიების ან/და საჯარო გამოსვლების საშუალებით. ამ მიზნით მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას ორგანიზაციული ერთეული, რომელიც გააერთიანებს ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, იურისტებს და პედაგოგებს, რათა მათ ცალკეულ ოჯახებთან იმუშაონ მათი ქალიშვილების ქორწინების სწორი ასაკის დასადგენად. ამ ორგანიზაციის დასაფინანსებლად აუცილებელია ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიძებნოს სპეციალური თანხები.

პოლიტიკური კულტურა, როგორც წინააღმდეგობის სომეხი მოსახლეობის ქართულ პოლიტიკურ პროცესში სრულყოფილი ინტეგრაციის გზაზე

ამალია ბაბიანი

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ჯავახეთის სომხებით დასახლებული რაიონის პოლიტიკური კულტურა და მისი გავლენა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე. ამ სფეროში უფრო ეფექტური შედეგების მისაღწევად შემოთავაზებულია რამდენიმე გზა – რეგიონის მცხოვრებთა პოლიტიკური განათლების ამაღლება, ინტეგრაციის დაბალანსებული პოლიტიკის შემოღება და სახელმწიფო ენის ინტენსიური შესწავლა, რომელთაგანაც ყველაზე შესაფერისად განიხილება პირველი.

შესავალი

საზოგადოებაში ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის გზაზე ნებისმიერი მრავალეროვანი სახელმწიფო ეჯახება დაბრკოლებებს. ეს მოიცავს ენობრივ ბარიერს, ინფორმაციულ ვაკუუმს, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, განათლების ხელმისაწვდომობას. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც მკვლევრები ხშირად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ, არის რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს მოსახლეობის პოლიტიკური თანამონაწილეობის ტიპს, მის პოლიტიკურ ღირებულებებს, პოლიტიკური ინფორმირებულობის დონესა და სხვა მრავალ ფაქტორს – ყველაფერი ეს ადამიანს საშუალებას აძლევს სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში, რაც შემდგომი ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

თანამედროვე საქართველოში ძირითად ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ სომხური და აზერბაიჯანული თემები, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში. სამცხე-ჯავახეთი სომხებით დასახლებული რეგიონია საქართველოში, სადაც დაახლოებით 81,000 ეთნიკური სომეხი ცხოვრობს.

წინამდებარე კვლევის მიზანს ჯავახეთის სომხების პოლიტიკური კულტურის შინაარსისა და საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესზე მისი გავლენის დადგენა წარმოადგენს. კვლევის ამოცანებია:

1. პოლიტიკური კულტურის კონცეფციის განსაზღვრა;
2. პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრაციის ურთიერთკავშირის გამოვლენა;
3. ჯავახეთის სომხური მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის შინაარსის გამოვლენა;
4. რეკომენდაციების შემუშავება ჯავახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონთან მუშაობისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს თეორიული წყაროების ანალიზს, საკუთარი თვისებრივი კვლევის ჩატარებას სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით და შემდეგ – მიღებული მონაცემების ანალიზს. რესპონდენტები შეირჩნენ შემთხვევითი პრინციპით ჯავახეთის რეგიონის მაცხოვრებლებიდან. ამჟამინდელი COVID-19-ის პანდემიის

გამო, ჯავახეთის სომხური თემის პოლიტიკური კულტურის სრულფასოვანი შესწავლა შეუძლებელია, თუმცა არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და მცირე თვისებრივი შესწავლის საშუალებით შევეცადეთ წარმოგვედგინა როგორც პოლიტიკური კულტურის, ისე რეგიონში არსებული ვითარების სავარაუდო სურათი.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

პოლიტიკური კულტურის ცნება და შინაარსი. პოლიტიკური კულტურის კატეგორიის შესწავლა ყველაზე აქტიურად XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო¹ და მას მრავალი ინტერპრეტაცია აქვს. ამ ნაშრომის ფარგლებში საფუძვლად შეიძლება ავიღოთ პარსონსისა და შილსის განმარტება, რადგანაც იგი პოლიტიკური კულტურის ძირითად კომპონენტებსა და მათ ურთიერთკავშირს ასახავს. ამრიგად, *პოლიტიკური კულტურა არის ღირებულებათა სისტემა, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული მოტივაციის (ორიენტაციებისა და განწყობების) ცნობიერებაში, რომლებიც არეგულირებენ ხალხის ქცევას პოლიტიკასთან დაკავშირებულ სიტუაციებში.*

ალმონდის, ვერბას, ბატალოვის, შესტოპალის და სხვა მეცნიერების თეორიული ნაშრომების ანალიზის შემდეგ შეიძლება განზოგადდეს, რომ პოლიტიკური კულტურის ძირითადი კომპონენტებია კოგნიტური (პიროვნების სრული ინფორმაცია, ცოდნა და წარმოდგენები პოლიტიკის შესახებ), აფექტური ან ემოციური (ინდივიდის ემოციები და გრძნობები, დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენასთან), შეფასებითი (შეფასებები, რომლებსაც ინდივიდი აძლევს პოლიტიკურ მოვლენებსა და ობიექტებს, პოლიტიკურ ინსტიტუტებს), მოტივაციური (ინდივიდის საჭიროებები და მოტივაციები ამა თუ იმ პოლიტიკური ქცევისთვის).

სამეცნიერო საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, შეიტანონ თუ არა პოლიტიკური ქცევა პოლიტიკური კულტურის სტრუქტურაში.² ამ ნაშრომში ვიცავთ მოსაზრებას, რომ როგორც პოლიტიკური ცნობიერება, ისე პოლიტიკური ქცევა თანაბრად შედის მის სტრუქტურაში, ვინაიდან პოლიტიკური კულტურა პირდაპირ განსაზღვრავს მოქალაქის პოლიტიკურ მოტივაციას, მისი პოლიტიკური მონაწილეობის მოდელს.³

როგორც ყოველდღიური კულტურა მონაწილეობს ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში, ისე პოლიტიკური კულტურაც იღებს მონაწილეობას პიროვნების პოლიტიკურ სოციალიზაციაში, კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ნორმებისა და ღირებულებების ათვისებაში, ის საშუალებას აძლევს ადამიანს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში, გაატაროს საკუთარი ინტერესები მიღებული პოლიტიკური ნორმებისა და წესების შესაბამისად და ხელს უწყობს კუთვნილების შეგრძნების ჩამოყალიბებას პოლიტიკური საზოგადოების მიმართ.⁴

ზემოთქმულის შეჯამებისას ვხედავთ, რომ სწორედ პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს, თუ როგორ მოახერხებს ჯავახეთის მკვიდრი საქართველოს პოლიტიკურ სისტემასთან ურთიერთქმედებასა და მასში საკუთარი ინტერესების რეალიზებას. შესაბამისად, პოლიტიკური კულტურა პირდაპირ გავლენას ახდენს ჯავახეთის სომხებით დასახლებული რეგიონის მოსახლეობის სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე.

1 Almond G. "Comparative Political System." *Journal of Politics*, 1956, Vol. 18, No. 3; Almond G., Verba S. *The Civil Culture. Political Attitudes and Democracy in Five Nations*. Princeton, Princeton University Press, 1963, p. 14.

2 ინგლისური პოლიტიკური კულტურის შესახებ იხ: Шестопа́л. Е. *Личность и политика*. Москва, Мысль, 1988, გვ. 88 - 97.

3 А.П. Мельников, С.Ф. Сокол. *Политическая культура в жизни общества*. Минск, БГУ, 2011.

4 Г. Л. Түльчинский. *Российская политическая культура. Особенности и перспективы*. СПб., «Алетейя», 2015.

ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის შინაარსი. საქართველოს ჯავახეთის რეგიონის სომხური თემი განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფია - უნიკალური კულტურის მქონე, რომელიც განსხვავდება როგორც ქართული, ისე სომხური კულტურებისაგან. ამ მხრივ, მასთან ეფექტური ურთიერთობის მიზნით, საჭირო ხდება მისი განსაკუთრებული მახასიათებლების შესწავლა, რომლებიც პოლიტიკურ კულტურაშიც იჩენს თავს.

ამ თვალსაზრისით, პრობლემა მდგომარეობს არასაკმარის პოლიტიკურ განათლებასა და გათვითცნობიერებაში, რის გამოც ჯავახეთის სომხურ თემში არ არიან აქტიური სამოქალაქო ლიდერები, რომლებიც ადგილობრივი ინტერესების დაცვას სახელმწიფო დონეზე შეძლებდნენ. მათი ერთადერთი წარმომადგენელი მაჟორიტარი დეპუტატია, რაც არასაკმარისია ჯავახეთის სომხური მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების სრულად რეალიზაციისთვის. უფრო მეტიც, 2024 წელს ეს ინსტიტუტი გაუქმდება, რის შემდეგაც ეროვნული უმცირესობების ინტერესების წარმოდგენის საკითხი განსაკუთრებით გამწვავდება.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (სსა) მონაცემებით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა რაოდენობა 38 000-ს შეადგენდა. აქედან პირველ ტურში 16 986 მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, რაც 44,70%-ია, ხოლო მეორე ტურში 19 857 ამომრჩეველი გამოცხადდა და, შესაბამისად, აქტივობა 52,15% იყო.⁵ როგორც ხედავთ, ზოგადად, რეგიონში აქტივობის პროცენტული მაჩვენებელი არაა მაღალი, მაგრამ ის დიდად არ განსხვავდება ქვეყნის მთლიანი აქტივობისგან (შესაბამისად 46,83% და 56,36%). ასე რომ, ქვეყნის მთლიანი აქტივობის გათვალისწინებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა აქტივობა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. თუმცა ციფრები მაღავს ფაქტორებს, რომელთა ინსტიტუციურად აღქმაც შეუძლებელია და რომლებიც პოლიტიკური კულტურის თვალსაწიერს მიეკუთვნება.

ვინ არიან ეს ადამიანები (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დაახლოებით 19 000 მაცხოვრებელი), რომლებმაც 2018 წელს ხმა მისცეს შერჩეულ კანდიდატს? რამ უბიძგა და მისცა მათ მოტივაცია საარჩევნო უბანზე მისასვლელად? ახალქალაქში შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 20 რესპონდენტის ინტერვიუთა შედეგების საფუძველზე, ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ მათი პოლიტიკური კულტურის სურათი, რაც საფუძველს ჩაუყრის ჯავახეთის სომხური თემის პოლიტიკური კულტურის ფართომასშტაბიან შესწავლას.

კოგნიტური ბლოკი. რესპონდენტთა ინტერესი პოლიტიკის მიმართ საკმაოდ დაბალ დონეზეა (გამოკითხული რესპონდენტებიდან მხოლოდ 11-ია დაინტერესებული პოლიტიკით, კიდევ 2 დაინტერესებულია მცირედით, ხოლო 7-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ საერთოდ არაა დაინტერესებული პოლიტიკით). ამავე დროს, უმრავლესობამ (8) პოლიტიკისადმი თავისი ინტერესის მიზნად ინფორმაციულ-შემეცნებითი კომპონენტი დაასახელა („ვიყო გათვითცნობიერებული, ვიყო საქმის კურსში, თუ რა ხდება ჩემს ქვეყანაში, მსოფლიოში“), პოლიტიკურ მონაწილეობასთან ეს მხოლოდ 2-მა რესპონდენტმა დააკავშირა:

„დაინტერესებული ვარ ქართული პოლიტიკით, რადგან მსურს ჩემი ინტერესები გათვალისწინებული იყოს“ (გოგონა, 21 წლის);

„იმისათვის, რომ განვასხვაოთ შავი თეთრისგან და შევეჩვიოთ ცხოვრებას, მონაწილეობა მივიღოთ და წვლილი შევიტანოთ სახელმწიფოსა და ზოგადად, კაცობრიობის განვითარებაში“ (კაცი, 39 წლის).

5 http://cesko.ge/res/docs/monacile_I_II_turieng.pdf

გამოკითხვის მონაწილეთა პოლიტიკურ ცნობიერებაზე საუბრისას შეიძლება აღინიშნოს, რომ მიუხედავად მცირე სხვაობისა, უმრავლესობას მაინც რესპონდენტთა ის ნაწილი შეადგენდა, რომელმაც ვერ შეძლო ეპასუხა კითხვაზე, თუ როგორ ხორციელდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა საქართველოში ცენტრალურ დონეზე (13). დანარჩენმა 7-მა მოცემულ კითხვაზე დამაკმაყოფილებლად უპასუხა, თუმცა წარმომადგენლობის პროცედურა ყველა მათგანს არ განუვრცია.

ამრიგად, მოცემულ ჯგუფში, პოლიტიკური წიგნიერებისა და ინფორმირებულობის დონე, ისევე, როგორც პირდაპირი ინტერესი პოლიტიკის მიმართ, საკმაოდ დაბალია.

მოტივაციურ-ქვევითი ბლოკი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 20 რესპონდენტიდან 19 (!) მონაწილეობდა არჩევნებში, როგორც ამომრჩეველი, მათ შორის ისინიც, ვინც მანამდე განაცხადა, რომ პოლიტიკით არ ინტერესდებოდა. ეს ფაქტი პოლიტიკური აქტივობის ძალიან მაღალ დონეზე მიუთითებს, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილი არჩევნებში მონაწილეობისას არასაკმარისადაა ინფორმირებული, როგორც ეს წინა ბლოკში განვიხილეთ.

მიუხედავად ამისა, მონაწილეთა პასუხებმა კითხვაზე არჩევნებში მონაწილეობის მიზეზებისა და მოტივაციის შესახებ აჩვენა, რომ უმრავლესობა პასუხისმგებლობით და შეგნებულად ეპყრობა ამ ინსტიტუტს. მათ შორის დასახელდა ისეთი მოტივაციები, როგორცაა: ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესება (5), სამოქალაქო მოვალეობა (4), საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა, საზოგადოებისთვის სარგებლის მიღება, საკუთარი თავის საზოგადოების ნაწილად აღქმა (3), კანდიდატის დახმარება, რომელმაც მათი მონონება დაიმსახურა (2), ხმათა მითვისების საშიშროების თავიდან არიდება (2):

„ჩემი სკეპტიციზმის მიუხედავად, ვფიქრობ, თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის განცდა საკუთარი ქვეყნის მიმართ, მაშინაც კი, თუკი არ გჯერა მოქმედი მთავრობის ან ზოგადად პოლიტიკის“ (ქალი, 44 წლის).

ამრიგად, რესპონდენტები ავლენენ პასუხისმგებლობიან მიდგომას არჩევნების ინსტიტუტისადმი, მაღალ პოლიტიკურ აქტივობასა და სამოქალაქო ცნობიერებას, რაზეც რესპონდენტების მოტივებიც მოწმობს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მონაწილეობისთვის არ დაუსვამთ კითხვები პოლიტიკური საქმიანობის სხვა გამოვლინებებთან დაკავშირებით (პარტიის წევრობა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობა, მიტინგებში მონაწილეობა, საზოგადოებრივი აქტივობა და ა.შ.) ამრიგად, არჩევნები ახალქალაქის მოსახლეობის პოლიტიკური ნების გამოხატვის ერთადერთი გზაა და მხოლოდ არჩეულ კანდიდატზეა დამოკიდებული, გატარდება თუ არა მათი ინტერესები.

აფექტურ-შეფასებითი ბლოკი. კვლევის ამ ნაწილში გამოვლენილია რესპონდენტთა მოსაზრებები და შეფასებები საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების წარმომადგენლობითი ინსტიტუტის თაობაზე. მონაწილეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები პარლამენტში წარმოდგენილი არაა ან წარმოდგენილია მინიმალურ დონეზე (11). გარდა ამისა, გამოკითხულთა უმეტესობა უარყოფითად აფასებს ჯავახეთში სომხური თემის ინტერესების დაცვის ხარისხს (13):

„დიახ, ინტერესები წარმოდგენილია, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ ამით დაინტერესდნენ, და ეს ეხება არა მხოლოდ სომხურ თემს, არამედ ზოგადად ეთნიკურ უმცირესობებს“ (გოგონა, 21 წლის).

„არა, მაგალითად, მოქალაქეობის საკითხი. არის ბევრი სომეხი, რომელმაც ოჯახის სარჩენად უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, ახლა კი საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა. მის ხელახლა მოსაპოვებლად გამოცდის ჩაბარებაა საჭირო, როგორ ჩააბარებს 50 წლის ადამიანი გამოცდას ქართულ ენაზე?“ (გოგონა, 26 წლის).

შემდეგ ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რისი შეცვლა სურდათ კვლევის მონაწილეებს თავიანთი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემაა მშობლიური (სომხური) ენის მდგომარეობა რეგიონში (6). მონაწილეთა აზრით, ის რეგიონში ქართულ ენას უნდა უთანაბრდებოდეს:

„საჭიროა მეტი მნიშვნელობის მინიჭება მშობლიური ენისთვის. სკოლებში ის უკანა პლანზეა გადატანილი“ (გოგონა, 21 წლის).

„რეგიონში სახელმწიფო ენის – ქართულის თანაბრად დაკანონდეს მეორე ენა – სომხური. სამართლისა და სამუშაოთა წარმოება ქართულთან ერთად წარიმართოს სომხურადაც...“ (კაცი, 47 წლის).

„იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფო დაწესებულებებში ხალხს უბრალოდ არ ანვდიდნენ ინფორმაციას გასაგებ ენაზე და ურჩევდნენ თარჯიმნის დახმარებით მიემართათ მათთვის“ (ქალი, 35 წლის).

პასუხებში ასევე წამოიჭრა ისეთი პრობლემები, როგორცაა მოქალაქეობის საკითხი, სახელმწიფო ენის ცოდნა, გამოხმაურების ნაკლებობა ცენტრის მხრიდან. გამოითქვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების პროცესში რეგიონის მოსახლეობის უფრო აქტიური მონაწილეობის, აგრეთვე ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართვის სურვილი. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რეგიონში არ არის სპეციალიზებული მიდგომა, რომელიც ადგილობრივ მახასიათებლებს გაითვალისწინებდა:

„რაც გვაკლია, არის ის, რომ ყველა საკითხში დეტალები არაა გათვალისწინებული. ესე იგი, მთავრობა გამოდის ინიციატივით, მაგრამ ბევრ საკითხში ადგილობრივ თავისებურებებს არ ითვალისწინებს და შედეგად, იქმნება პრობლემები. ვფიქრობ, აუცილებელია ეროვნული უმცირესობები მთავრობაში დეპუტატებისა და მრჩეველთა დონეზე მაინც იყვნენ წარმოდგენილი, თანაც არა ქულის დასაწერად და ევროპისთვის საჩვენებლად, არამედ ნამდვილად გამოცდილი და ჭკვიანი ახალგაზრდების ჩასართავად“ (ქალი, 32 წლის).

სხვა პასუხებთან ერთად, ასევე აღინიშნა შეზღუდვები კულტურისა და რელიგიის საკითხებში („არ შეურაცხყონ და გაანადგურონ ჩვენი რელიგიური ფასეულობები, სალოცავები, მოგვენიჭოს ჩვენი ეკლესიების რეაბილიტაციის თავისუფლება და არ იდევნებოდნენ ჩვენი რელიგიური მოღვაწეები“), სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის საჭიროება („გატარდეს მწარმოებელთა ინტერესები, რათა მათ დაუბრკოლებლად მოახერხონ თავიანთი პროდუქციის რეალიზება ქვეყნის მასშტაბით“), ახალქალაქში საგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულებების გახსნის საჭიროება.

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი თავს დისკრიმინირებულად გრძნობენ საქართველოს სხვა მოქალაქეებთან შედარებით:

„სულ მცირე, მსურს, რომ ჩემს ხალხს პატივი სცენ და ისევე ეპყრობოდნენ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს“ (გოგონა, 21 წლის).

„მინდა, რომ ახალქალაქში სამუშაოდ სომხები აჰყავდეთ და არა – ქართველები“ (გოგონა, 23 წლის).

„რაც ქართველების მხრიდან ყველაზე მეტად იგრძნობა – დისკრიმინაციაა. ისინი არ უნდა აღგვიქვამდნენ ჩვენ სხვა ერის წარმომადგენლებად, არამედ უნდა აღგვიქვან საქართველოს მოქალაქეებად, ნაცვლად იმისა, რომ ყოველ მოსახერხებელ მომენტში ცუდად იხსენიებდნენ სომხებს“ (გოგონა, 21 წლის).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპონდენტებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ ექცევა მათ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი. ჯავახეთში ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა უარყოფითადაა შეფასებული – აღინიშნება მათი უყურადღებობა რეგიონის თავისებურებებთან მიმართებით, მათი პოლიტიკა სომხურ ენასა და კულტურასთან დაკავშირებით, ქართველების პრივილეგირება სამსახურში მიღების დროს. ასე რომ, მიუხედავად ჯავახეთის მცხოვრებთა, როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ფორმალური თანასწორობისა ხელისუფლებისა და კანონის წინაშე, სინამდვილეში არსებობს მრავალი ნიუანსი და დისკრიმინაციული გამოვლინება, რაც ნეგატიურად ფასდება შესწავლილი ჯგუფის პოლიტიკურ ცნობიერებაში. ეს ყველაფერი უარყოფით იმიჯს უქმნის ცენტრალურ ხელისუფლებას და შესაბამისად, ხელს უშლის რეგიონის სრულყოფილ ინტეგრაციას.

ჯავახეთის სომეხი მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის თავისებურებებისა და პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც კვლევის მსვლელობისას გამოვლინდა, შეიძლება საკითხის მოგვარების შემდეგი გზების არჩევა.

კერძოდ, **პრობლემის გადაჭრის პირველ ალტერნატივას** რაიონის მოსახლეობის პოლიტიკური განათლების დონის ამაღლება წარმოადგენს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ თავიანთ უფლებებს და დაიცვან თავიანთი ინტერესები ალტერნატიული გზებით. ბოლო წლებში გაიზარდა ეთნიკური უმცირესობებისთვის ჩატარებული პოლიტიკური ტრენინგების რაოდენობა (“IAI”, GFSIS და სხვ.), თუმცა ამ ტრენინგებში ადამიანთა ძალიან შეზღუდული წრეა ჩართული და ხშირად მხოლოდ ისინი, ვინც ქართულ ენას ფლობენ. ერთეული ტრენინგები, 15-20 ადამიანის მონაწილეობით, მცირე გავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე – ამგვარი ღონისძიებები უფრო მასობრივად უნდა ჩატარდეს.

ამავე დროს, ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც მიზნად რეგიონის ინტეგრაციას ისახავს, საპირისპირო შედეგს იძლევა. მაგალითად, ქართული ენის გაძლიერებული შესწავლის პოლიტიკამ არ უნდა დაჩრდილოს მშობლიური ენა. რესპონდენტების მოთხოვნებს რეგიონში სომხურის მეორე ოფიციალურ ენად დანერგვის შესახებ შეგვიძლია სამართლიანი ვუწოდოთ, რადგანაც ეს ნაბიჯი ხელს უწყობს კომფორტულ კომუნიკაციას რეგიონში და ასევე აჩვენებს მოსახლეობას, რომ ხელისუფლება მათ პატივისცემით ეპყრობა. არსებობს სხვა დეტალებიც, რომლებიც ზემოთ, რესპონდენტების პასუხებში, აღინერა და რომლებსაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება. შესაბამისად, **პრობლემის გადაჭრის მეორე ალტერნატივაა** დაბალანსებული ინტეგრაციული პოლიტიკის გატარება, რომელიც არ გამოიწვევს კიდევ უფრო აგრესიულ რეაქციასა და წინააღმდეგობას. ქართულ კულტურასა და საზოგადოებაში ინტეგრაცია უნდა დაბალანსდეს სომხური კულტურისა და ენის შენარჩუნებით. ამ ალტერნატივის რეალიზება კონსტიტუციურ და საკადრო ცვლილებებს მოითხოვს, რისი მიღწევაც მოკლევადიან პერიოდში რთულია.

პრობლემის გადაჭრის მესამე ალტერნატივად შეიძლება ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლის ხარისხობრივი გაუმჯობესება წარმოვადგინოთ. ამ მიმართულებით ნაბიჯები უკვე გადადგმულია – გაიხსნა ზ. ჟვანიას სახელობის სკოლა, სადაც საფასურის გადახდის საფუძველზე ყველა ასაკის ადამიანს

შეუძლია შეისწავლოს ქართული ენა და მიიღოს შესაბამისი სერტიფიკატი. მიუხედავად ამისა, ქართული ენის მასობრივი ცოდნა ახალგაზრდა თაობისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ხოლო უფროს თაობებს სწავლის გზაზე სირთულეები ხვდებათ.

ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან პირველი ყველაზე რეალისტურია ოპერატიული მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

რეკომენდაციები

პრობლემის გადაჭრის პირველი ალტერნატივისთვის, კერძოდ, რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური განათლების დონის ასამაღლებლად, რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა.

პირველ რიგში, ყველანაირი პოლიტიკური კომუნიკაცია დუბლირებული უნდა იყოს სომხურ ენაზე (ეს მოიცავს პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, წინასაარჩევნო მასალებს, სატელევიზიო დებატებს, საარჩევნო ბროშურებს), რაც ჯავახეთის მოსახლეობას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გააცნობს. ჩვენი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია ყველა საკანონმდებლო აქტისა და კოდექსის უმცირესობათა ენებზე თარგმნა (ამ მომენტისთვის ვებგვერდზე matsne.gov მხოლოდ კონსტიტუციაა ხელმისაწვდომი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ამასთან, თარგმნილი ვერსიების მოძებნა რთულია), რათა მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება შეისწავლოს და დაიცვას საკუთარი უფლებები.

მეორე, რეკომენდებულია პოლიტიკური ტრენინგების ჩატარება ადამიანთა უფრო ფართო წრისათვის და სომხურ ენაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თავად მოსახლეობა არ არის მიჩვეული ამ ტრენინგებში მასობრივად მონაწილეობას, აუცილებელია პოლიტიკური განათლების სხვა ფორმების დანერგვა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სატელევიზიო პროგრამები, საგანმანათლებლო ვიდეოები ინტერნეტში, სომხურ ენაზე გამოქვეყნებული სვეტები ადგილობრივ მედიაში. ეს მასალები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ეროვნული უმცირესობების უფლებების, მათი ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის გზების, პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ.

მესამე, ადგილობრივ დონეზე რეკომენდებულია არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების სტიმულირება, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვაში მონაწილეობენ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა რეგულარულად უნდა შეაგროვონ ინფორმაცია საზოგადოებისგან და გადასცენ ის ცენტრალურ ხელისუფლებას.

მეოთხე, ხელისუფლებამ უნდა მოაწყოს რეგულარული ვიზიტები ჯავახეთის რაიონებში, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობასთან კავშირს, ხელისუფლების ინფორმირებას მოსახლეობის პრობლემების შესახებ და მოსახლეობის თვალში ხელისუფლების ავტორიტეტის გამყარებას.

მეხუთე, გრძელვადიან პერსპექტივაში რეკომენდებულია ეროვნულ უმცირესობათა წარმოდგენის ალტერნატიული გზების შემუშავება და დაკანონება. ამ დროისთვის მათ ინტერესებს პარლამენტში მხოლოდ 1-2 მაჟორიტარი დეპუტატი იცავს. საქართველოში ასევე აკრძალულია ეთნიკურ საფუძველზე პოლიტიკური პარტიების შექმნა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მთავრობის აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მინიმუმ, მრჩეველთა დონეზე.

ინტეგრაციული საგანმანათლებლო პროგრამა 1+4-ის სრულყოფა

მარგარიტა ხასანშინა

რეზიუმე

დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზაზე ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მთავრობამ ღონისძიებები ჩაატარა, რომლებიც სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებასა და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას ემსახურებოდა. კერძოდ, შემუშავდა პროგრამა „1+4“, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს საშუალებას აძლევს ზოგადი უნარების გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩაბარების გზით საქართველოს უნივერსიტეტებში ჩაირიცხონ და ერთი წლის განმავლობაში ქართული ენის შესწავლის შემდეგ სწავლა ბაკალავრიატში გააგრძელონ. მართალია, სტუდენტების უმეტესობა დადებითად აფასებს პროგრამას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მიცემულ კარგ შანსს, ბევრი ასევე აღნიშნავს პრობლემებს, რომლებიც ქართული ენის შესწავლასა და პროგრამის ბოლოს ენის არასაკმარის ცოდნას უკავშირდება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციაზე. ამას ხშირად იქამდეც მივყავართ, რომ სტუდენტები სირთულეების გამო სწავლას თავს ანებებენ, გადადიან სხვა ფაკულტეტებზე ან უნივერსიტეტებში.

პრობლემის გადასაჭრელად ნაშრომში შესაბამისი გზები შემოთავაზებულია. ანალიზის შედეგად, უპირატესობა ენიჭება კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას ეთნიკური ქართველების მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება უმცირესობების ინტეგრაციაზე და უზრუნველყოფს ქართული ენის პრაქტიკის შესაძლებლობას.

შესავალი

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა: ისეთი რეგიონები, როგორცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, მეტწილად სომხებითა და აზერბაიჯანელებითაა დასახლებული, რომლებიც ძირითადად არ ფლობენ სახელმწიფო ენას, რაც, თავის მხრივ, ეროვნულ მასობრივ მედიას ხელმიუწვდომელს ხდის და აფერხებს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოს მთავრობამ, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში, მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა განათლების სისტემაში. 2010 წელს დაინერგა პროგრამა „1+4“, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, აგრეთვე მათ ინტეგრაციასა და ჩართულობის გაზრდას ქართულ საზოგადოებაში. ამ რეფორმის წყალობით, ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდობის წარმომადგენლებს უფრო ფართო გზა ეხსნებათ საქართველოს უნივერსიტეტებში, რამაც მათთვის შესაძლებელი გახადა საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა და საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად ჩამოყალიბება.

უნივერსიტეტში ჩასარიცხად აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ზოგადი უნარების გამოცდა მშობლიურ ენაზე. მიღების შემდეგ, პირველი წლის განმავლობაში, სტუდენტები ქართული ენის შემსწავლელ პროგრამას გადიან და გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, სწავლას ბაკალავრის ხარისხზე აგრძელებენ. პროგრამა საკმაოდ წარმატებულია, რასაც ჩამბარებელთა რაოდენობის მუდმივი ზრდაც ადასტურებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროგრამის ზოგიერთი ასპექტი დაუმთავრებელი რჩება და გაუმჯობესებას საჭიროებს.

მართალია, პროგრამა ეხმარება სტუდენტებს იყვნენ უფრო ინტეგრირებული სტუდენტურ ცხოვრებაში, ე.ი. წინასწარ გაეცნონ შეფასების, გამოცდებისა და სწავლების სისტემებს, ისინი მაინც აწყდებიან პრობლემათა მთელ რიგს ბაკალავრის საფეხურზე სწავლის პროცესში. კერძოდ, ასეთია ქართული ენის ცოდნის არადაამაკმაყოფილებელი დონე სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის, აუცილებელ პროფესიულ ტერმინთა არასაკმარისი ცოდნა, სირთულეები გამოცდების ჩაბარების დროს და ა.შ.

მოცემული ანალიტიკური მიმოხილვის მიზანია დაადგინოს რამდენად ეფექტურია ეს პროგრამა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის თვალსაზრისით, გამოავლინოს პროგრამის ხარვეზები და შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, შემდგარი იმ აუცილებელი ზომებისაგან, რომლებიც უნდა მივიღოთ პროგრამის სრულყოფისათვის.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

მრავალეროვანი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც სხვადასხვა კულტურისა და ენის ხალხს აერთიანებენ, განათლების ენები ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური განვითარებისათვის. პროგრამა „1+4“ ამ პრობლემების მოგვარებისა და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის გაზრდისკენაა მიმართული. მთლიანობაში, პროგრამა საკმაოდ კარგი და განვითარებულია, რასაც აბიტურიენტების რაოდენობის მუდმივი ზრდაც ადასტურებს, მაგრამ გარკვეული ხარვეზების გამო, ის საკმარისად ეფექტური არ არის. განსაკუთრებით პრობლემურია ქართული ენის შესწავლა და სრულყოფილად დაუფლება, რაც პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას.

1+4 პროგრამას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ეროვნულმა უმცირესობებმა მიიღეს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ პროგრამა არ იძლევა ენის საკმარის დონეზე შესწავლის საშუალებას, რის გამოც უმცირესობების ინტეგრირების პრობლემა კვლავ აქტუალურია. შედეგად, 1-წლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტები ჯერ კიდევ არ ფლობენ ქართულ ენას საკმარის დონეზე, ისინი არასაკმარისად არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში, ვერ პოულობენ სამსახურს და არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ეს ეროვნული უმცირესობების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებასა და ქვეყნის ქართველი მოსახლეობისგან მათ ფაქტობრივ განცალკევებას იწვევს. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა, რამდენადაც ეროვნული უმცირესობები ხშირად თავს ქვეყნის სრულყოფილებიდან მოქალაქეებად არ გრძნობენ და შეზღუდული არიან თავიანთი უფლებების განხორციელებაში.

პროგრამა „1+4“ ყველა უნივერსიტეტში განსხვავებულია, თითოეულ უნივერსიტეტს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა აქვს, ამიტომ სტუდენტები სხვადასხვა პირობებში ხვდებიან, რის შედეგადაც რეზულტატი, რომელსაც ისინი აღწევენ, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ უნივერსიტეტში გაიარეს სწავლება. ზოგიერთ უნივერსიტეტში (მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტში) სტუდენტებს ჯგუფებად ყოფენ ენის ცოდნის დონის შესაბამისად. ზოგიერთ უნივერსიტეტში (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში) სტუდენტებს ჯგუფებში ენის ცოდნის დონის გათვალისწინების გარეშე ანაწილებენ, რაც განაპირობებს იმას, რომ ხშირად ქართული ენის დაბალ დონეზე მცოდნე და ქართულ ენას საკმაოდ კარგად დაუფლებული სტუდენტები ერთ ჯგუფში ხვდებიან და ეს ანელებს და აუარესებს სწავლის პროცესს, რადგან ძლიერი სტუდენტებისათვის სასწავლო მასალა უინტერესო და ზედმეტად მარტივია, ხოლო ცოდ-

ნის დაბალ დონეზე მყოფი სტუდენტებისთვის ეს შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს. ამასთან, სუსტი სტუდენტები ჩრდილში ხვდებიან და არასაკმარისი ყურადღება ეთმობათ. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ აბიტურიენტთა შორის ქართული ენის ცოდნის დონე განსხვავებულია: მათთვის, ვისაც დაბალი დონე აქვს, ხშირად ერთ-ნლიანი სწავლება არაა საკმარისი ენის იმ დონეზე შესასწავლად, რომ ბაკალავრიატში განაგრძონ სწავლა. მეორე მხრივ, სტუდენტებს, რომელთა ენის ცოდნის დონე საშუალოზე მაღალია, სწავლის ეს წელი ახალ ცოდნას არ აძლევს და, ფაქტობრივად, დროისა და ფულის ფლანგვას წარმოადგენს.

პროგრამის კიდევ ერთი პრობლემაა ზედმეტად ძლიერი აქცენტირება გრამატიკის შესწავლაზე, რის შედეგადაც სტუდენტმა ენის გრამატიკა საკმაოდ მაღალ დონეზე იცის და კარგად ერკვევა ენის ამ ასპექტში, მაგრამ, ამავდროულად, ვერ ფლობს სასაუბრო ქართულ ენას და არ შეუძლია ეს ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს. ასევე, პროგრამა ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს რაიმე პროფესიული მასალის შესწავლას და, ამის შედეგად, ბაკალავრის ხარისხზე სწავლის გაგრძელებისას, სტუდენტები ენის დაბალ დონეზე ცოდნის გარდა, აუცილებელ ტერმინთა არცოდნის პრობლემასაც აწყდებიან, რაც კიდევ უფრო ართულებს სასწავლო პროცესს.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები სწავლას ბაკალავრის ხარისხზე აგრძელებენ, სინამდვილეში კი საკმარისად არ არიან მომზადებულნი ამისთვის – არც ენის ცოდნისა და არც ინტეგრაციის თვალსაზრისით. შედეგად, ბევრ სტუდენტს არ შეუძლია შემდეგ კურსზე გადასასვლელად საკმარისი კრედიტების შეგროვება და ზოგჯერ იძულებულია შეიცვალოს უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი, აუცილებელი კრედიტების არასაკმარისი რაოდენობის გამო. ამ შემთხვევაში, ფინანსური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ის სტუდენტები, რომლებიც კრედიტების არასაკმარისი რაოდენობის გამო იძულებული არიან გააგრძელონ სწავლა დამატებითი სემესტრების განმავლობაში, ზოგჯერ ვერ იხდიან სწავლის საფასურს, ამიტომ თავს ანებებენ უნივერსიტეტს.

პროგრამის კიდევ ერთ პრობლემას არასაკმარისი ინტეგრაცია წარმოადგენს. ზოგჯერ სტუდენტები დისკრიმინაციას განიცდიან პედაგოგების, ადმინისტრაციის ან თანაკურსელების მხრიდან. ზოგიერთ უნივერსიტეტში 1+4 პროგრამის სტუდენტები პირველ წელს ქართველი სტუდენტებისაგან განცალკევებულად სწავლობენ, რაც საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს, იმდენად, რამდენადაც სტუდენტებს არ აქვთ საშუალება ეკონტაქტონ ქართველებს, რაც შესაძლებელს გახდიდა ქართული ენის პრაქტიკასა და ენის ცოდნის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი, სადაც მოქმედებს ტუტორიუმის პროგრამა, რომლის პროცესშიც უნივერსიტეტის სტუდენტები ეროვნულ უმცირესობებს ადაპტირებაში, უნივერსიტეტის გაცნობასა და სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან. გარდა ამისა, ილიას უნივერსიტეტში ინტეგრაციის დონე გაცილებით მაღალია აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს შორის, რადგან ტარდება სხვადასხვა ღონისძიება.

სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით უნივერსიტეტს შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიება, აქტოვობა, რომელშიც ჩაერთვებიან როგორც ქართველი სტუდენტები, ისე ეროვნული უმცირესობები, რაც დადებითად აისახება სტუდენტების ინტეგრაციაზე და უზრუნველყოფს ქართული ენის პრაქტიკის შესაძლებლობას.

მართალია, ბევრი სტუდენტი უნივერსიტეტში ჩაბარებისას უკვე საკმაოდ კარგად ფლობს ქართულს და 1 წელი მათთვის სავსებით საკმარისია, მაგრამ ასევე ხშირია შემთხვევები, როცა სტუდენტებმა ქართული ენა საკმაოდ დაბალ დონეზე იციან და არ ჰყოფნით 1 წელი ენის ასათვისებლად, ამიტომ ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა შეფასების სისტემის შეცვლა, შესაძლებელია ცოდნის გარკვეული დონის დადგენა, რომლის მიღწევის

შემდეგაც სტუდენტს შეუძლია გააგრძელოს სწავლა ბაკალავრის ხარისხში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოუწევს სწავლის გაგრძელება მოსამზადებელ პროგრამაზე, რაც, თავის მხრივ, სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესში კარგი მოტივაცია იქნება. თუმცა ამას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს, რადგანაც ყველა სტუდენტი არაა მზად მოსამზადებელ პროგრამაში 2 წელი „დაკარგოს“, ამასთან, საჭიროა ფინანსური ფაქტორის გათვალისწინებაც. ასევე აუცილებელია სასწავლო მასალების უფრო შესაბამისი, თანამედროვე მეთოდებით ჩანაცვლება და მათი დანერგვა, რაც, მართალია, დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ხელს შეუწყობს სწავლების ეფექტურობის გაზრდას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **მოცემული პრობლემის გადაჭრის პირველ გზად** გვევლინება არა მხოლოდ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფა ენის ცოდნის დონის მიხედვით, არამედ ქართული ენის შესწავლისთვის დამატებითი წლის უზრუნველყოფაც, სანამ შედარებით სუსტი სტუდენტები სწავლას ბაკალავრიატზე გააგრძელებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ ენას კარგად დაუფლებული სტუდენტებისთვის შექმნილ 1+4 სისტემასთან ერთად, აუცილებელია შეიქმნას 1+1+4 სისტემა იმ სტუდენტებისთვის, ვისთვისაც ქართული ენის შესასწავლად 1 წელი არასაკმარის ვადას წარმოადგენს.

პრობლემის გადაჭრის მეორე გზად შეიძლება 1+1+4 სისტემაში სწავლის მეორე წლის განმავლობაში სტუდენტების მეტყველებისა და მოსმენის უნარების გაუმჯობესებისთვის მეტი ყურადღების დათმობა ჩაითვალოს.

პრობლემის გადაჭრის მესამე გზა უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების პრაქტიკაში მრავალი კულტურული და სპორტული ღონისძიების ჩატარებაა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ეთნიკური ქართველები, ისე ეროვნული უმცირესობები.

პრობლემის გადაჭრის ამ სამი შემოთავაზებული გზიდან ყველაზე „იაფი“ და ადვილად განსახორციელებელი მესამე გზაა. რაც შეეხება პირველ ორ გზას, მათი განხორციელება გარკვეულ დროს მოითხოვს ორგანიზაციული და ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად.

რეკომენდაციები

ენის ეფექტური შესწავლისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი ენობრივი გარემო, სადაც მოსწავლეებს ენაში პრაქტიკის საშუალება მიეცემათ. ამ მიზნით უნივერსიტეტს შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიება, რომლებშიც ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად ეთნიკური ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას, რაც მქართულად კომუნიკაციის შესაძლებლობას შექმნის. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა კლუბი ინტერესების შესაბამისად, მაგალითად, წიგნის კლუბი ან დებატების კლუბი, სადაც განიხილავენ სხვადასხვა თემას, მათ შორის, სტუდენტთა მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით, რაც პროფესიის თავისებურებების გაცნობის, ენობრივი უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტები ასევე შეიძენენ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის გამოცდილებას და საკუთარი პოზიციების დაცვის უნარს, რაც მათ ბაკალავრიატში სწავლისას შეუწყობს ხელს. ეს შეიძლება იყოს ესეების კონკურსი ან საუნივერსიტეტო გაზეთის შექმნა, რაც შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების საშუალებასაც იძლევა, ან სხვადასხვა ინტელექტუალური თამაში, ვიქტორინები. სხვა გამოსავალი შეიძლება იყოს ერთობლივი მოგზაურობის ჩატარება, როდესაც სტუდენტებს შეეძლებათ დახვეწონ ენის უნარები ბუნებრივ გარემოში და შეიძინონ ახალი მეგობრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის რეგულარული მონიტორინგი, რაც პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი ეფექტურობის შეფასებასა და შეცდომების გამოვლენას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტი ფაკულტეტის რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა, როგორც ახალგაზრდობის გადინების მიზეზი

ლილით კარახანიან

რეზიუმე

ხარისხიანი განათლების მიღება ძალიან მნიშვნელოვანია და მისი მიღწევა მხოლოდ შესაბამის პირობებში შეიძლება. ამ პირობების არქონის გამო ქ. ახალქალაქის ახალგაზრდები ხშირად სასწავლებლად სხვაგან მიდიან, ხოლო ვისაც არ შეუძლია სხვაგან წასვლა, ან უმაღლესი განათლების გარეშე რჩება, ან იძულებით ირჩევს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის განყოფილებაში რომელიმე მისთვის ნაკლებად საინტერესო პროფესიას. დოკუმენტში განხილულია პრობლემის გადაჭრის სამი გზა, რომელთაგან უპირატესობა მათგან ყველაზე ნაკლებხარჯიან და ადვილად გადასანყვეტ გზას მივანიჭეთ და რომელიც პრობლემის გადასაჭრელად ახალქალაქში დღეს მოქმედ ფაკულტეტზე მაინორ-პროგრამის გაფართოებაა.

შესავალი

21-ე საუკუნეში ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ხარისხიანი განათლების მიღება. მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლის დამთავრების შემდეგ ფიქრობს, თუ სად და რომელ უნივერსიტეტში ჩააბაროს და ისწავლოს. უმეტესობა, ცხადია, არჩევს დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ განათლების მიღებას, მაგრამ ჩვენი ქალაქის – ახალქალაქისა და ახალქალაქის რაიონის სოფლების მაცხოვრებლების არჩევანი არცთუ ისე დიდია, თუკი მათ უნდათ, რომ ჩვენს ქალაქშივე მიიღონ განათლება, რადგან რიგი მიზეზთა გამო სხვაგან წასვლას ვერ ახერხებენ. ჩვენთან მხოლოდ ერთი უნივერსიტეტია – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალი, რომელშიც ფაკულტეტების რაოდენობა ძალიან შეზღუდულია, კერძოდ კი, სულ სამი ფაკულტეტია. აღსანიშნავია, რომ, ამას გარდა, უნივერსიტეტს სხვა საჭიროებებიც აქვს და, სამწუხაროდ, ბევრი რამ არ გააჩნია.

ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ამ თემის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მე თავად ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის სტუდენტი და საკმაოდ ხშირად ვაწყდები გარკვეულ პრობლემებს.

ამ კვლევის მეშვეობით მინდა გავიგო ახალგაზრდების, სტუდენტებისა და ლექტორების პოზიცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი მათთვის და რისი შეცვლა სურთ. ასევე მინდა დავადგინო, თუ რამდენი ახალგაზრდა დარჩა განათლების გარეშე ხსენებული პრობლემების გამო და შევისწავლო ის, თუ ამ უნივერსიტეტის რამდენმა კურსდამთავრებულმა შეძლო სამუშაოს მოძიება თავისი სპეციალობით.

ამ ყველა პრობლემის გაანალიზების შემდეგ, სავარაუდოდ, შევძლებ პრობლემების დაყენებას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, მათი თანდათანობით მოგვარების მიზნით, რამაც მომავალში განათლების ხარისხის დახვეწა უნდა უზრუნველყოს. ეს კი მნიშვნელოვანია ყველა სტუდენტის, ახალგაზრდის თუ ახალქალაქის სხვა მაცხოვრებლისთვის.

რა თქმა უნდა, ამ კვლევის ჩატარების დროს ინფორმაციის მოპოვების შეზღუდვებიც მქონდა, რადგან შეიძლება, ბევრს არ სურდეს ამ თემაზე საუბარი და თქვან, რომ ეს მათ არ ეხება. ასევე გასათვალისწინებელია სხვა სირთულეებიც. კერძოდ, გამიჭირდება

სხვა უნივერსიტეტებთან შედარება, რადგან მე მხოლოდ ინფორმაცია მაქვს ჩემს უნივერსიტეტზე და არ ვფლობ ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

ახალქალაქში განათლების მიღების პრობლემა მუდამ არსებობდა და აქტუალური იყო და დღემდეც არაფერი შეცვლილა. ეს სწორედ ის საკითხია, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას ეხება და მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ის მნიშვნელოვანია მთლიანად სახელმწიფოსთვის, რადგან მას სჭირდება განათლებული და ჭკვიანი სპეციალისტები სხვადასხვა სფეროში, ვისი მეშვეობითაც ქვეყანა უფრო ძლიერი და განვითარებული იქნება.

ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, რადგან არსებობს ადამიანების ნაწილი, ვისაც არა აქვს სამუშაო და ადანაშაულებს იმას, რომ ჩვენს ქალაქში, ახალქალაქში, კარგი განათლების მიღების შესაძლებლობა არ არის. მართალია, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს უკვე 20 წელია, მაგრამ ფაკულტეტების რაოდენობა შეზღუდულია. თუ ადამიანმა თავის დროზე ვერ ისწავლა, ის ახლა იძულებულია სამუშაოდ რუსეთში გაემგზავროს, ძირითადად მშენებლობაზე, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის რეგიონში: ის ოჯახიდან შორსაა და სხვა საცხოვრებელი ადგილისთვის დამატებითი ხარჯები სჭირდება, ცხადია, თანაც ყველას არ შეუძლია მშენებლობის სფეროში მუშაობა.

ადამიანი იძულებული ხდება ახალქალაქში რაღაცა სამუშაო მოძებნოს. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ახალქალაქში სამუშაო ადგილების რაოდენობა შეზღუდულია და ბევრი უმუშევარია.

რა თქმა უნდა, ახალქალაქში განათლების მიღების საკითხი ყველაზე მეტად აქტუალური ახალგაზრდებისათვისაა. ზუსტად მათთვის, ვინც ყოველწლიურად ამთავრებს სკოლას და ფიქრობს ახალქალაქში განათლების გაგრძელებას, რადგან სხვაგან წასვლას ვერ ახერხებს, თუნდაც იმიტომ, რომ სხვაგან სწავლისათვის დასჭირდება არა მხოლოდ საცხოვრებლის ხარჯი, არამედ სწავლის საფასურის გადახდაც. სამწუხაროდ, ადგილობრივი ოჯახების დიდ ნაწილს არ აქვს შესაძლებლობა ეს ხარჯები დაფაროს.

პრობლემა აქტუალურია ასევე მათთვის, ვინც უკვე სწავლობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში და საკუთარ თავზე გრძნობს ყველა პრობლემას, თანაც ცდილობს რაიმე თუნდაც პატარა რამ შეცვალოს და დაეხმაროს საკუთარ თავსაც და თავის მეგობრებსაც სიტუაციის გაუმჯობესებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი აზრი არსებობს. ზოგი მადლობელია, რომ ასეთ პატარა ქალაქში, როგორც ახალქალაქია, საერთოდ არსებობს უნივერსიტეტი. ზოგისთვის კი მხოლოდ სამუშაოა მნიშვნელოვანი და პროფესიის დაუფლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მათგან განსხვავებით, ახალგაზრდათა გარკვეულ ჯგუფს არჩეული აქვს თავისი ოცნების პროფესია, მაგრამ, სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსს არა აქვს შესაბამისი განყოფილება. რა უნდა გააკეთონ ასეთ შემთხვევაში ამ ახალგაზრდებმა? დედაქალაქში წავიდნენ და იქ ისწავლონ? მაგრამ თუ მათ არა აქვთ ამის შესაძლებლობა, მაშინ იძულებული არიან აირჩიონ ისეთი პროფესია, რომელიც არ სურთ და მომავალში შესაძლოა ინანონ კიდევ საკუთარი არჩევანი. შეიძლება, სამსახური ჰქონდეთ, მაგრამ მუშაობა სიამოვნებას ვერ მიანიჭებს და საბოლოოდ ვერ იპოვიან ცხოვრებაში თავიანთ ადგილს...

არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომელთაც საერთოდ არ უნდათ განათლების მიღება და ამბობენ, რომ მნიშვნელობა არა აქვს მათთვის, არსებობს თუ არა უნივერსიტეტი ახალქალაქში ან/და თუ არსებობს, რომელი ფაკულტეტი იქ და რომელი არა.

ზოგიერთი ახალგაზრდა ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ სიამოვნებით სწავლობს და რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მესამე კორპუსს აქვს ყველა შესაძლებლობა და პირობა კარგი განათლების მისაღებად და, რაც მთავარია, უნივერსიტეტს ჰყავს კარგი ლექტორები, ისინი კარგად ასწავლიან ყველა საგანს. ისინი მიიჩნევენ, რომ ვისაც ნამდვილად უნდა განათლების მიღება, ყველგან კარგად ისწავლის და თავის მიზნებს მაინც მიაღწევს. პრობლემები კი ყველგანაც შეიძლება იყოს – ყველაზე კარგ უნივერსიტეტშიც კი.

ერთი მხრივ, ვიზიარებ ამ უკანასკნელ პოზიციას, რომ თუ ადამიანს მართლაც სურს სწავლა, ის ყველგან ისწავლის. პირადად მეც ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვარ: უკვე მესამე წელია ვსწავლობ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, მაგრამ ხშირად ბევრ პრობლემას ვაწყდები. კერძოდ, ხელმისაწვდომი არ არის სათანადო ნივთები, თავის დროზე, ფაკულტეტების ნაკლებობის გამო, ვერ შევძელი იმ პროფესიის არჩევა, რომელზეც ვოცნებობდი. საკითხში უკეთ გასარკვევად 30 სტუდენტთან ჩავატარე ინტერვიუები. სტუდენტების საპილოტე გამოკითხვის შემდეგ დავასკვენი, რომ ახალქალაქის მაცხოვრებელთა უდიდეს ნაწილს ანუხებს ეს პრობლემა და ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს. ამაში ჩართულები არიან როგორც ახალგაზრდები, ასევე მათი მშობლები, რადგან უნდათ თავიანთი შვილებისათვის უკეთესი სასწავლო პირობები, მაგრამ დღემდე პრობლემის გადაჭრის გზები არ არის გამოკვეთილი და რეალიზებული.

პრობლემის გადაჭრის პირველ გზად მიმაჩნია, მოსახლეობის გამოკითხვა, რომელ ფაკულტეტს მიიჩნევენ პრიორიტეტულად, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში ეს ფაკულტეტი გაიხსნას. თუ ბევრი ახალგაზრდა ისწავლის ამ ფაკულტეტზე, მაშინ უნივერსიტეტს არ ექნება ფინანსური პრობლემები.

რადგან ახალი ფაკულტეტის გახსნა არც ისე ადვილია და ის საჭიროებს ამ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებით ჯეროვნად უზრუნველყოფას, ამიტომ შეიძლება განვიხილოთ **პრობლემის გადაჭრის მეორე გზაც**, რომლის მიხედვითაც მოქმედ ფაკულტეტზე არსებული მაინორ-პროგრამა შეიძლება გაფართოვდეს, ამის მეშვეობით სტუდენტების რაოდენობაც გაიზრდება და ბევრი ახალგაზრდის ოცნებაც ასრულდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა. ახალქალაქის სტუდენტებს ბევრად უფრო გაუადვილდებათ სწავლა, თუ მიეცემათ საშუალება უცხო ენად აირჩიონ რუსულიც, რადგანაც დღეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა გამორიცხულია, ჩვენს განყოფილებაში მხოლოდ ინგლისური ენა ისწავლება. ამის გამო სტუდენტს, თუკი სურს რუსულის, როგორც უცხო ენის, არჩევა, იძულებულია წავიდეს ახალციხეში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ ან მეორე კორპუსში ისწავლოს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ახერხებს ახალციხეში წასვლას, მაშინ ის რუსულ ენას ონლაინმეთოდით სწავლობს, რასაც, ცხადია, თავისი უარყოფითი მხარეები აქვს (მაგალითად, სტუდენტი ვერასოდეს დაესწრება ლექციებს პირადად და არ ექნება ჯგუფებთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა).

ჩვენი პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება ახალი კოლეჯის გახსნაც, სადაც იქნება უნივერსიტეტის პროფესორებისგან განსხვავებული პროფესიები. ასეთი სტუდენტები კოლეჯში მაინც შეძლებენ სწავლას, რათა აირჩიონ თავისთვის უფრო საინტერესო პროფესია და განათლების გარეშე არ დარჩნენ. კოლეჯის გახსნა **პრობლემის გადაჭრის მესამე გზაა**.

რა თქმა უნდა, კოლეჯში განათლების მიღება იგივე არ არის, რაც უნივერსიტეტში, მაგრამ ერთგვარი კომპრომისული ვარიანტია, რომ ახალგაზრდები განათლების გარეშე მაინც არ დარჩნენ. არც ისაა გამორიცხული, რომ კოლეჯში სწავლის შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი გაუჩნდებათ და ამის შესაძლებლობა ექნებათ.

პრობლემის გადაჭრის გზებიდან ყველაზე ნაკლებხარჯიან და ადვილად გადასაწყვეტად მიგვაჩნია მეორე გზა – ახალქალაქში დღეს მოქმედ ფაკულტეტზე მაინორ-პროგრამის გაფართოება.

რეკომენდაციები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში ამ დროისათვის ჩვენ გვაქვს მაინორ-პროგრამის ორი განყოფილება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო მაინორ-პროგრამა და ისტორიკოსის მაინორ-პროგრამა. მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას წარმოვადგენთ:

პირველი რეკომენდაცია: უნივერსიტეტმა უნდა ჩაატაროს გამოკითხვა, როგორც სტუდენტებს, ისე განათლების სპეციალისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის, რათა დაადგინოს, თუ რომელი მაინორ-პროგრამის დამატება იქნება მიზანშეწონილი და მხოლოდ ამის შემდეგ დაამატონ კონკრეტული პროგრამა.

მეორე რეკომენდაცია: უნივერსიტეტმა, ინგლისური ენის გარდა, ალტერნატივად უნდა დაამატოს რუსული ენა, რადგან ახალქალაქში არის ამის საჭიროება და არ არის ხელმისაწვდომი, თუ სტუდენტი არ გადავიდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში (ახალციხის განყოფილებაში).

მესამე რეკომენდაცია: იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის განყოფილებაში აღებული აქვთ რუსული ან სხვა საგნები და მათ სჭირდებათ ახალციხეში ხშირად გამგზავრება, მათთვის უფასო ტრანსპორტი გამოიყოს, რადგან სტუდენტს ადგილობრივად, ახალქალაქში, არ აქვს შესაძლებლობა ისწავლოს ეს საგნები. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში უნივერსიტეტის გარდა ასევე შეიძლება ჩაერთოს მუნიციპალიტეტი:

- მუნიციპალიტეტს შეუძლია დაეხმაროს უნივერსიტეტს ფინანსურად ახალი მაინორ-პროგრამის შესაქმნელად;
- მუნიციპალიტეტმა, არსებული საჭიროების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი (სასურველია უფასო) ტრანსპორტი ახალციხეში გასამგზავრებლად.

აქვე დავაზუსტებ, რომ ჩემი აზრით, უფრო მისაღებია ახალი მაინორ-პროგრამის დამატება, რადგან ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტრანსპორტირების საკითხის გადაწყვეტა, რადგან სტუდენტების რაოდენობა, ვისაც აქვს საგნები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ ან მეორე განყოფილებაში (ახალციხეში), არცთუ ისე დიდია და ამ კონკრეტულ რეკომენდაციას ნაკლები გავლენა ექნება ადგილობრივ მაცხოვრებლებზე, ვიდრე მეორეს.

სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა ეთნიკურ აზერბაიჯანელებში

ზაქირ აივაზოვი

შესავალი

საქართველოში ცხოვრობს ბევრი ეთნიკური უმცირესობა, რომელთა შორის უმრავლესობა აზერბაიჯანელებია. საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 6.3% ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ძირითადად, ქვემო ქართლის რეგიონში.¹ აზერბაიჯანელთა კომპაქტური დასახლებებია აგრეთვე კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებშიც. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების სხვადასხვა პრობლემას შორის მნიშვნელოვანია ქართული ენის არცოდნა, რაც მათ უქმნის ენობრივ ბარიერს და ხელს უშლის აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში. მარნეულის მუნიციპალიტეტი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონია. საერთაშორისო კვლევის (PISA) თანახმად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განათლების დონე, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ოთხჯერ დაბალია.² რეგიონში არსებობს ენობრივი ბარიერი, აქედან გამომდინარე, მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესახებ. ამ მარგინალიზებულ პირობებში მოსახლეობამ არ იცის საკუთარი უფლებები.

წინამდებარე კვლევის მიზანია ეთნიკური უმცირესობების პრობლემების წარმოჩენა, ანალიზი და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების განვება, რათა უკეთ დაინახონ, რა შეცდომებს უშვებენ აზერბაიჯანულ თემთან დაკავშირებით. კვლევა გამოაჩენს აზერბაიჯანულ თემში ენის პრობლემით გამოწვეულ უამრავ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემას. კვლევისთვის ვიყენებთ ღია წყაროებს, როგორცაა სახალხო დამცველისა თუ EMC-ის ანგარიშები. საკითხს განვიხილავთ სოფელ აღმამედლოს მაგალითზე. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებული იქნება ცენტრალური და რეგიონალური მედიის (ტელევიზია, ვებგვერდები, რადიო) მასალები, რომელიც აზერბაიჯანულ მოსახლეობას ეხება. სამწუხაროდ, არსებული კორონავირუსის პანდემიის გამო ვერ შევძელი ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

ეთნიკურ აზერბაიჯანელებში სახელმწიფო ენის ცოდნა-არცოდნის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ალ. კვახაძის დაკვირვების მიხედვით, რაც უფრო ახლოს მდებარეობს აზერბაიჯანული სოფელი თბილისთან ან რუსთავთან, იქ მით უკეთესია ქართული ენის ცოდნის მაჩვენებელი და, პირიქით, რაც უფრო დაშორებულია სოფელი დიდ ურბანულ ცენტრებს, მით უფრო დაბალია ქართული ენის ცოდნის დონე.³ სახელმწიფო ენის დაბალ დონეზე ფლობის მიზეზი საბჭოთა სისტემაში უნდა ვეძებოთ. საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ოკუპაციის პირობებში, ეთნიკური აზერბაიჯანელების სოფლების სკოლებში ყურადღება არ ექცეოდა ქართული ენის შესწავლას და პრიორიტეტი ენიჭებოდა რუსულ ენას. მაგალითად, სამუშაო სკოლებში რუსული ენის სწავლებისათვის კვირაში გამოყოფილი იყო

1 საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი: geostat.ge

2 Organisation for Economic Development and Cooperation (2019) OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Georgia. Paris: OECD

3 ა. კვახაძე (2020). "უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები". გვ. 13. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

5 საათი, ხოლო ქართული ენისათვის – მხოლოდ ერთი და ხშირ შემთხვევაში თვით მასწავლებელიც არ ფლობდა ქართულ ენას. მეტიც, საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციული საქმეთნარმოებისას უპირატესობა ენიჭებოდა რუსულ ენას და ხდებოდა მისი, როგორც ერთა შორის საკომუნიკაციო ენის გამოყენება. ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ქართველები და ბერძნები ერთმანეთს რუსულ ენაზე ელაპარაკებოდნენ. შედეგად, ქართული ენის ცოდნის მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო. გარდა ამისა, ქართული ენის არადაამაკმაყოფილებელი ცოდნის ერთ-ერთი მიზეზია გაუმართავი საგანმანათლებლო სისტემა. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში 18 სკოლაა აზერბაიჯანული, მარნეულის – 51, დმანისის – 17, გარდაბნის – 13, თეთრი წყაროს – 2, წალკის – 2, საგარეჯოს – 2, ლაგოდეხის – 5.⁴ ამ სკოლათაგან უმეტესობას არ გააჩნია პარალელური ქართული სექტორი. აგრეთვე, არადაამაკმაყოფილებელია აზერბაიჯანულ სკოლებში არსებული ქართული ენის პროგრამა, რომლის შედეგადაც, მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი ვერ სწავლობს ქართულ ენას. აზერბაიჯანულენოვანი ახალგაზრდების დიდი ნაწილი ქართულ ენას სწავლობს ან 1+4 პროგრამის მოსამზადებელ კურსზე, ან ბაზარში მუშაობისას, ან შეიარაღებულ ძალებში. ალ. კვახაძის ნაშრომის მიხედვით, სოფელ მულანლოს მკვიდრები მიიჩნევენ, რომ მათი შვილები ქართულ ენას ბაზარში უკეთესად სწავლობენ, ვიდრე სკოლაში.⁵

სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა უამრავ პრობლემას აჩენს. მათგან უპირველესია ინფორმირებულობის დაბალი დონე. მედიის განვითარების ფონდის კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი ინფორმაციას იღებს თურქული და აზერბაიჯანული ტელეარხებიდან, როგორცაა: ATV, Star TV, TRT 1, Show TV, Kanal D, Xazar TV, Lider TV, Ictimai Tv და სხვა.⁶ მეტიც, იგივე კვლევა გვიჩვენებს რუსული პროპაგანდისტული არხების ყურების მაღალ მაჩვენებელს.⁷ ყოველივე ეს, ერთი მხრივ, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს საინფორმაციო ვაკუუმში ამყოფებს და მათ დამოკიდებულს ხდის უცხო ქვეყნის მედიაზე. ეს პრობლემა აქტუალური გახდა Covid19-ის პანდემიის დროს, როდესაც მარნეულში მკაცრი საკარანტინო ზონა ისე შემოიღეს, რომ ენის არცოდნის გამო მოსახლეობის უმეტესობამ ეს გვიან გაიგო. აღნიშნული პრობლემა არ უნდა იქნეს აღქმული ცალმხრივად – ენობრივი ბარიერი არსებობს, თუმცა სწორი კომუნიკაციის სტრატეგიის შემთხვევაში ვითარება რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.

მეორე პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო სერვისებზე წვდომის არქონა. ქართული ენის არცოდნის გამო, ბევრ ეთნიკურ აზერბაიჯანელს არ შეუძლია განცხადების შევსება და ჩაბარება. ამის გამო ბევრი ვერ იღებს ისეთ სერვისს, როგორცაა სოციალური დახმარება, მინის რეგისტრაცია და სხვა. მეტიც, იმის გამო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის ცხელ ხაზზე არ არის აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორი, დანაშაულის შეტყობინება ან სახანძრო-სამაშველო სამსახურის დროული გამოძახება ვერ ხდება. დანაშაულის შეუტყობინებლობა კი, ერთი მხრივ, ზრდის ქალზე ძალადობას, ნაადრევ ქორწინებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, ქურდული სამყაროს გავლენებს.

მესამე და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ენობრივი ბარიერი ინვესტს, არის უმუშევრობა. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ეთნიკურ აზერბაიჯანელებს არ შეუძლიათ დასაქმება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

4 სკოლების შესახებ სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე:

http://www.catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=main&district=14&school_type=3

5 ალ. კვახაძე (2020). „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები“. გვ. 13. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

6 მედიის განვითარების ფონდი (2017). „მუსლიმი ახალგაზრდების საჭიროებების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის წყაროების კვლევა“. ხელმისაწვდომია: http://www.mdggeorgia.ge/geo/view_research/145

7 იქვე.

შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში ისეთ პროფესიებზე, როგორცაა ინჟინერი, არქიტექტორი, ბუღალტერი და სხვა საქართველოს სხვა რეგიონიდან ჩამოყვანილი პირები ინიშნებიან. გარდა დასაქმებისა, ენობრივი ბარიერი ხელს უშლის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებაში, რადგან გადამყოფელებთან ვერ ხდება ფასზე შეთანხმება. ყოველივე ეს მძიმედ აისახება ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში 1+4 პროგრამის ხარჯზე საგრძნობლად გაიზარდა ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა, კვლავაც პრობლემატურია ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება. მეტიც, სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, საკრებულოს დეპუტატები, სოფლის რწმუნებულები და თვით პარლამენტის დეპუტატები არ ფლობენ ქართულ ენას, რის გამოც ახალგაზრდა თაობას გარკვეულწილად სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაცია უქრება.

დასკვნა

სახელმწიფო ენის არცოდნა პრობლემატური საკითხია ეთნიკურ უმცირესობებში, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანულ თემში. ეს პრობლემა ნეგატიურად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ხარვეზები საგანმანათლებლო სისტემაში და ენის შემსწავლელი პროგრამების ნაკლებობა ხელს უწყობს ამ პრობლემის არსებობას. ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

რეკომენდაციები

- აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში საბავშვო ბაღების გახსნა და ბაღებში ქართულ ენაზე სწავლების გაძლიერება – ამით სკოლაში შესვლამდე ბავშვებს ელემენტარულ დონეზე ეცოდინებათ სახელმწიფო ენა.
- საშუალო სკოლებში ქართული ენის შემსწავლელი გაკვეთილების ეფექტიანობის გაზრდა – ამით მოსწავლე უკეთ შეძლებს არსებული მასალის ათვისებას.
- საზაფხულო სკოლების მოწყობა, სადაც აზერბაიჯანელი სკოლის მოსწავლეები მოხვდებიან ქართულ გარემოში – ინტენსიური კურსების შედეგად, აზერბაიჯანელი მოსწავლეები გაიუმჯობესებენ ქართული ენის ცოდნას და უკეთ მოემზადებიან სკოლისთვის.
- გაცვლითი პროგრამების მოწყობა, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეები რამდენიმე თვეს გაატარებენ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონში, ქართულ ოჯახში, და იქ ივლიან ქართულ სკოლაში – ამით აზერბაიჯანელი მოსწავლეები გაიუმჯობესებენ სახელმწიფო ენის ცოდნას, იცხოვრებენ ქართულ გარემოში და ასევე გაიჩენენ ეთნიკურ ქართველ მეგობრებს, რის შედეგადაც შემცირდება ორ ეთნოსს შორის გაუცხოება.
- არაფორმალური განათლების გაძლიერება – ამით სკოლის მოსწავლეებს დამატებით გაკვეთილებზე დასწრების საშუალება ექნებათ, სადაც სხვადასხვა უნარ-ჩვევებს გაიუმჯობესებენ.
- უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის ქართული ენის კურსების გახსნა – იმ პირებს, ვისაც სასკოლო ასაკში არ ჰქონდა ქართული ენის სწავლის საშუალება, ეძლევათ შანსი, რომ აითვისონ ქართული ენა.

- 112-ის სამსახურში აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორების დამატება – საფრთხის შემთხვევაში, იმ პირებს, ვინც არ იცის ქართული ენა, საშუალება მიეცემათ, რომ აზერბაიჯანულ ენაზე ზუსტად აუხსნან საპატრულო, სასწრაფო თუ სამაშველო სამსახურს პრობლემის არსი და ზუსტი ადგილმდებარეობა.

ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი და კულტურული ჩართულობის ზრდა

კატია მოსოიან

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-კულტურული ჩართულობის ხელშეშლელ პირობებზე. მთავარ პრობლემად იდენტიფიცირებულია ენის ბარიერი და აქედან გამომდინარე პრობლემები, როგორცაა ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად მიჩნეულია სახელმწიფოს უფრო პროაქტიული ქმედება და მჭიდრო თანამშრომლობა არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების ღონისძიებებში.

შესავალი

საქართველოში ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 16%-ს შეადგენენ. საქართველოს კონსტიტუცია თითოეულ ადამიანს თანაბარ უფლება-მოვალეობას ანიჭებს და იცავს თითოეულის იდენტობას. ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი და კულტურული ჩართულობა, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსად, საქართველოსთვისაც ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით ბევრი პროექტი განხორციელდა, მნიშვნელოვანი წინსვლა ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებრივი და კულტურული ჩართულობის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ჯერ არ შეინიშნება.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი სომხები და აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ცხოვრობენ. კომპაქტური დასახლებები და ერთიანი, ჩაკეტილი კულტურული სივრცე აფერხებს უმცირესობების კომუნიკაციას როგორც დანარჩენ საქართველოსთან, ისე სახელმწიფოსთან.

უმცირესობებს ლიმიტირებული აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, ასევე დაბალი აქვთ კონკურენტუნარიანობა და შესაბამისად, არ ეძლევათ თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა.

ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ენობრივი ბარიერი. ამ საკითხის მოსაგვარებლად სახელმწიფო რიგ საგანმანათლებლო ღონისძიებებს ატარებს, რაც გულისხმობს არაქართულენოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლებას, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისკენ მიმართულ „1+4“ პროგრამას. დამატებით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის ზრდას. მართალია, აღნიშნული ქმედებები სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ არაა საკმარისი სრულყოფილი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს მეტი დაინტერესება, რათა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც უმცირესობები შეძლებენ ეფექტიანად და თავისუფლად საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ნებისმიერი ქვეყნისათვის სიმდიდრეა.

სამწუხაროდ, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ სახელმწიფოსთან საზოგადოებრივი და კულტურული იდენტობის განცდა. მათი უმეტესობა დისტანცირებულია ქართული საზოგადოებისგან. შესაბამისად, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ეთნიკური ჯგუფების ჩართულობის გაზრდა წარმოადგენს.

წლების განმავლობაში ეთნიკური უმცირესობების მთავარი პრობლემა იყო და დღემდე რჩება ენობრივი ბარიერი. ძირითადი პრობლემები, რომლებიც უმცირესობების ჩართულობის პროცესს აფერხებს, მეტწილად სწორედ ამ საკითხთანაა დაკავშირებული.

ეთნიკური ჯგუფების ენობრივი ბარიერი და მასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებადაა გამოხატული ქალაქის მოსახლეობაში, თუმცა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეს საკითხი უფრო მწვავე და პრობლემატურია. ქალაქის მოსახლეობა, გარემოდან გამომდინარე, ნაწილობრივ, თუმცა მაინც ჩართულია სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ თუ კულტურულ ღონისძიებებში.

ქართული ენის არცოდნის გამო ეთნიკური ჯგუფები მოკლებული არიან საშუალებას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ცხოვრებაში. ენის ბარიერი ან მისი არასაკმარისი ცოდნა ხშირად უფლებებისა და თავისუფლებების პირდაპირი შელახვის მიზეზიც ხდება.

ენობრივი პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ქართული ენის სახლების გახსნა, რომელიც ორიენტირებულია ზრდასრულ მოსახლეობაში ქართული ენის სწავლებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეებს ქართული ენის სრულფასოვნად შესწავლაში.

ასევე აღსანიშნავია საკმაოდ წარმატებული „1+4“ პროგრამა, რომელიც 2010 წელს შემუშავდა. პროგრამა ასეულობით აზერბაიჯანელსა და სომეხს საშუალებას აძლევს ისწავლონ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც მათ ენის დაუფლებაში ეხმარება.

ეროვნულ გამოცდებზე შემოღებულია ეთნიკური უმცირესობებისათვის სწავლების სამელავათო „1+4“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ერთ წელს ქართული ენის შესასწავლ ინტენსიურ კურსს გადის, შემდეგ კი, ოთხი წელი, ეუფლება არჩეულ პროფესიას, რაც უზრდის დასაქმების შესაძლებლობას და ხელს უწყობს გახდეს კონკურენტუნარიანი მოქალაქე.

დამატებით, სკოლებში მიმდინარეობს სახელმძღვანელოების და პროგრამების ადაპტირება სპეციალურად სომხურ- და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის.

მართალია, ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯებია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი. მაგალითად, მიუხედავად ჟვანიას სკოლის საქმიანობისა, სასურველია ენის ცოდნის გასაზრდელი ღონისძიებები ჩატარდეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში და არა მხოლოდ რეგიონულ ცენტრებში. სასწავლო კურსების სოფლებში შეტანა ხელს შეუწყობს ენის ცოდნის ზრდას ზრდასრული ასაკის სოფლის მოსახლეობაში, რაც უშუალოდ იმოქმედებს მათი ცხოვრების სტილსა და სამომავლო გეგმებზე.

დასახვეწია ასევე სახელმძღვანელოების შედგენის პროცესი. სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სახელმძღვანელოებში ტექსტის ნაწილი ქართულ ენაზე იბეჭდება, ნაწილი

კი უმცირესობების ენაზე, რაც ხელს უშლის არა მარტო ქართული ენის სწავლას, არამედ კონკრეტული საგნის შესწავლასაც. ამ შემთხვევაში საგნის მასწავლებელს ხშირად უწევს მოკლე ტექსტების გადათარგმნა მოსწავლეების მშობლიურ ენაზე, რათა მოახერხონ ტექსტის გააზრებულად შესწავლა.

ეთნიკურ უმცირესობებს სკოლებში გარკვეულ საგნებს მათ მშობლიურ ენებზე უნდა ასწავლიდნენ და მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს ზოგადად სწავლების ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების ენებზე ახალ ამბებს გადმოსცემენ გარკვეული პროგრამები, როგორცაა, მაგალითად, ადგილობრივი მედიასაშუალებები Jnews.ge, nor.ge და ა.შ., ეს არაა საკმარისი და სასურველია ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევა, რაც ზოგადად გაზრდის ინფორმირებულობის ხარისხს და საქართველოს სახელმწიფოში მათ ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მედიასაშუალებები რეგიონში მიმდინარე პროცესებს ონლაინ აშუქებენ, რაც შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის თუ სოფლებში მცხოვრებთათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ უნდა ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს ენის ცოდნის გაზრდას არა მხოლოდ ახალგაზრდებში და რეგიონულ ცენტრებში, არამედ სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, გაუმჯობესდეს ზოგადად სწავლების ხარისხი სკოლაში და დაიხვეწოს სახელმძღვანელოების ადაპტაციის პროცესი. ამის პარალელურად კი, სხვადასხვა მედიასაშუალებით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, უნდა მოხდეს უმცირესობათა ინფორმირებულობის ზრდა.

სასურველია სკოლის მოსწავლეები ჩაერთონ უფრო მეტ საგანმანათლებლო, სპორტულ თუ შემეცნებით პროექტში. მართალია, ამგვარ პროექტებს ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს, მაგრამ ეს პროექტები ახალგაზრდების მცირე ნაწილს ეხება და რეგიონში მცხოვრები უმეტესობა ამ ღონისძიებაში არ არის ჩართული. სახელმწიფოს ჩართულობა ამ კუთხით, დამატებითი ენის შემსწავლელი კურსების, ესეების კონკურსებისა და საზაფხულო ბანაკების გამართვა პირდაპირ დაეხმარება აღნიშნული მიზნის მიღწევას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ინფორმაციის ნაკლებობა. სამწუხაროდ, ისევ და ისევ ენის ბარიერის გამო, ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა არ ეცნობა ინფორმაციას ქართული მედიასაშუალებებით. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მედიასაშუალებების სიახლეები ყველასთან ვერ აღწევს ან მათი ნათარგმნი და გამოქვეყნებული სტატიები სანდოობით არ გამოირჩევა, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მაყურებელზე ან მკითხველზე. ინფორმაციის ნაკლებობა კი პირდაპირაა დაკავშირებული ნდობის ნაკლებობასა და დეზინფორმაციასთან.

ამ მხრივ საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მეტი ჩართულობა. **პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მივიჩნევთ** საინფორმაციო გამოშვების ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე გაშვებას. მოკლე ინფორმაციის ზოგადი მიმოხილვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გასაზრდელად, უმნიშვნელოვანესია ენის საკითხის მოგვარება, რამდენადაც ვფიქრობთ, რომ აქედან გამომდინარეობს რიგი სხვა საკითხებისა. ამასთან ერთად, პარალელურად უნდა მოხდეს საშუალო განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა. ეს სამი მიმართულება, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს უმცირესობათა ჩართულობის ზრდას.

წარმატებისთვის კი აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის, სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია.

რეკომენდაციები

რეკომენდაციის სახით, სასურველია, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემა – ენობრივი ბარიერი, აღმოიფხვრას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ, პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ჩართულობით დაიწყოს დისკუსია და გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. უნდა ჩატარდეს ქართული ენის შესასწავლი კომპლექსური ღონისძიებები - ენის შესწავლა უნდა შეეძლოს ყველა დასახლებულ პუნქტში სხვადასხვა ასაკის მოსახლეობას.

რეკომენდაციის სახით, ასევე სასურველია, რომ სახელმწიფომ გარკვეული ცვლილებები შეიტანოს განათლების რეფორმაში, კერძოდ, დღის წესრიგში დადგეს როგორც ქართული ენის, ასევე მთლიანად, სწავლების ხარისხის ამაღლების საკითხი, რაც პირდაპირ აისახება ეთნიკური უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებაზე და მათ კონკურენტუნარიანობაზე.

როგორც ხელისუფლებამ, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ინფორმირებულობის ზრდას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ასევე სასურველია უკეთ გაშუქდეს ეთნიკურ უმცირესობებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის კონსტრუქციული, მეგობრული ურთიერთობები, ასევე ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიური, კულტურული ცხოვრება, ისტორიული მასალები, სოციალური პრობლემები, დღესასწაულები და სხვ. მეტი ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტრენინგებისა და ლექციების სახით გადამზადება გაიარონ, რათა ნებისმიერ შემთხვევაში ეთნოსთა შორის შუღლს არ შეუწყონ ხელი.

ვფიქრობთ, რომ ამ კომპლექსური მიდგომით შევძლებთ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას.

რეგიონის მიგრაციულ პროცესებზე საზღვარგარეთ საქონური სამუშაოების როლის შესუსტების ძირითადი გზები

ვარდუი კურგინიანი

რეზიუმე

შრომითი მიგრაცია განპირობებულია მიმდებ ქვეყანაში არსებული მოთხოვნით მუშახელზე, რომელსაც იმ ქვეყნის მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს. შესაბამისად, დაუსაქმებელი ან არასრულად დასაქმებული დაბალი ანაზღაურების მქონე მუშახელი ცდილობს წავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც მასზე არის მოთხოვნა და სადაც უკეთესი ანაზღაურებაა.

შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, უმუშევრობასთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. დოკუმენტში განხილულია პრობლემის გადაჭრის ორი გზა. პირველია – სახელმწიფოს მხრიდან ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ხოლო მეორე – რეგიონის მაცხოვრებლებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მიმდინარე მშენებლობების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ადამიანების საქართველოში დასაქმება. პრობლემის გადაჭრის ამ ორი გზიდან უპირატესობა მივანიჭეთ მეორეს.

შესავალი

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო განვითარებადი ქვეყნები უმთავრესად სწორედ მიგრანტთა „გამცემ“ ქვეყნებად მოიაზრება, საიდანაც ადამიანები უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით მიემგზავრებიან. სამცხე-ჯავახეთში, როგორც ძირითადად ეთნიკური უმცირესობით, სომხებით, დასახლებულ რეგიონში, სახელმწიფოების უცოდინრობა მოსახლეობას ხელს უშლის ქვეყნის შიგნით იპოვოს სამსახური და ამის გამო ძირითადად თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი კი არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს წარმოადგენს, იძულებული ხდება გავიდეს საზღვარგარეთ უფრო მეტ შემოსავლის მიღების მიზნით. სხვადასხვა ქვეყანაში შესრულებული ერთი და იმავე შრომის ფასი განსხვავებულია, ადამიანები კი ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც მათი უნარების ფასი მაღალია და, შესაბამისად, უფრო მეტი ანაზღაურების მიღების სურვილი აქვთ. ეს კი იწვევს შრომით მიგრაციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთიდან შრომითი მიგრაციის შესუსტების მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია შრომითი მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.

კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის ძირითადი წყაროა მუნიციპალიტეტების ხელთ არსებული ინფორმაცია, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევები და ადგილობრივი მოსახლეობიდან მიღებული კონკრეტული ინფორმაცია.

კვლევისას ძირითადი შეზღუდვა უკავშირდებოდა ინფორმაციის მოპოვების სირთულეს, რაც უმთავრესად განპირობებულია საქართველოში კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვებით.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

საქართველოში შრომითი მიგრაცია ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

მიგრაცია პრობლემას წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. კერძოდ, თუ ქვეყანაში არსებობს სამუშაო მიგრაცია, ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკა არასაკმარის დონეზეა განვითარებული, ანუ ქვეყნის შიგნით არ არის საკმარისი სამუშაო ადგილი, გარკვეული ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა და ეს ყველაფერი იწვევს სამუშაო ძალის მიგრაციას. შრომით მიგრაციას ასევე შეიძლება იწვევდეს ისიც, რომ მიმღებ ქვეყანაში არსებობს კონკრეტულ პროფესიებზე მოთხოვნა, რომლის შესავსებადაც სახელმწიფო მიგრანტ მუშახელს იზიდავს.

უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის გადანყვეტილებას იღებს უმთავრესად იმ მიზეზით, რომ ოჯახს დაეხმაროს და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნას. მაგრამ როგორც კი ხდება პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, უმრავლესობა იწყებს ფიქრს, რომ დააგროვოს განსაზღვრული თანხა, რათა უკან დაბრუნებისას შეძლოს შეიძინოს ბინა ან თავისივე რაიონში, ან თბილისში და ამით გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები, ან წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი, ან იყიდოს მანქანა და სხვა.

ადამიანთა მოთხოვნილებები დროთა განმავლობაში იზრდება და თითოეული ადამიანის და ოჯახის სამომხმარებლო კალათაც დროთა განმავლობაში იცვლება. კერძოდ, ის საგნები, რომლებიც ღღეს შეიძლება ფუფუნებად ჩაითვალოს, ხვალ შეიძლება სამომხმარებლო კალათში შევიდეს და ამიტომ ამ მოთხოვნილებების ზრდის პარალელურად აუცილებელია ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების და გარკვეული სამუშაოებისთვის ანაზღაურების ზრდა, ანუ თუ ადამიანის მოთხოვნილება იზრდება და ცხოვრებაც ძვირდება, შესაბამისად, ანაზღაურებაც მეტი უნდა იყოს. თუმცა, ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ადამიანის მოთხოვნილებები ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისაღები ხელფასი. საბოლოო ჯამში კი, ეს იწვევს სამუშაო მიგრაციას, მით უმეტეს, ისეთ აგრარულ რეგიონში, როგორც სამცხე-ჯავახეთია, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი ფაქტობრივად ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნილებებს.

ახალქალაქის რაიონში 64 სოფელია, მათგან 5 ეთნიკური ქართველებით არის დასახლებული, 5 – ქართველებით და სომხებით, დანარჩენი კი – ეთნიკური სომხებით.

ეთნიკური უმცირესობებისთვის კიდევ სხვა პრობლემებიც არსებობს. საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნა ხელს უშლის მათ ქვეყნის შიგნით დასაქმებაში.

შესაძლოა, პირს ჰქონდეს სხვა ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ არ იცოდეს სახელმწიფო ენა და, შესაბამისად, საქართველოში ვერანაირად ვერ დასაქმდეს (გარკვეულ გამონაკლისი არის სოფლის მეურნეობა). აქედან გამომდინარე, რეგიონის სოფლებში მაცხოვრებლების უმეტესი ნაწილი მიდის საზღვარგარეთ სამუშაოდ, ძირითადად, სომხეთსა და რუსეთში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელშიც მოცემულია სეზონურ სამუშაოზე წასულთა რაოდენობრივი მაჩვენებლები (ათასი ადამიანი).

წლები	2015			2016			2017		
	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი
რეგიონი									
სამცხე-ჯავახეთი	160.6	54.7	105.9	160.5	54.6	105.9	160.6	54.7	105.9

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ქვეყნიდან შრომითი მიგრაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, ეს საკითხი სრულად შესწავლილი მაინც არ არის. ამ საკითხზე საქართველოში მუშაობენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციები – IOM და ICMPD.

სხვადასხვა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ინტენსიური მიგრაციის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორს სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და აქედან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება წარმოადგენს.

შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების უკმაყოფილება, მისი შედეგების გამო. არანაკლებ შემაშფოთებელია ისიც, რომ დღემდე ამ საჭირობო პრობლემის მეცნიერულ კვლევას მხარს არ უჭერს სახელმწიფო და ხორციელდება მწირი რესურსებით, რაც ადეკვატურად ვლინდება შრომითი მიგრაციის ამა თუ იმ ასპექტის არასრულ შეფასებაში.

შრომითი მიგრაციის მიზეზთა განხილვისას აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის საზღვარგარეთ საშოვარზე ყოფნის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური ხასიათისაა და უმეტესად აქ დარჩენილი ოჯახების საარსებო უზრუნველყოფას ემსახურება.

სამუშაო მიგრაცია მხოლოდ უარყოფითად არ მოქმედებს ქვეყანაზე. მას აქვს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები. განვსაზღვროთ თითოეული მათგანი.

უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ სამუშაო ადგილების უკმარისობის გამო სამუშაო ძალის საზღვარგარეთ გადინება. რეგიონის მოსახლეობის 6,8% უმუშევარია (2018 წლის მონაცემების თანახმად), მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, საიდანაც მიღებული შემოსავალი სრულად ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა იძულებული გახდება დატოვოს ოჯახი და წელიწადში 8 თვეზე მეტი დრო გაატაროს საზღვარგარეთ, რაც საკმაოდ რთული და საფრთხის შემცველიცაა.

დადებით მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ქვეყანაში ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთიდანაა შემოსული. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის ივნისში ფულადმა გზავნილებმა საქართველოში შეადგინა 143,6 მლნ აშშ დოლარი, აქედან ყველაზე მეტი თანხა რუსეთიდანაა შემოსული – 34,78 მლნ დოლარი, რისი მნიშვნელოვანი ნაწილიც სამუშაო მიგრაციის შედეგია. რადგან შემოსული თანხა იხარჯება ქვეყანაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი გარკვეულწილად ზრდის ჩვენს ეკონომიკას.¹

მიგრაცია ისეთ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის ანუხებს განვითარებად ქვეყნებს და მისი გადაჭრის გზების მოძიება მარტივი არ არის. პრობლემის გადაწყვეტა ძირითადად უნდა მოხდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გზით. მაშასადამე, **პრობლემის გადაწყვეტის პირველი ალტერნატივა** არის სახელმწიფოს მხრიდან ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამისთვის აუცილებელია უფრო მასშტაბური გახდეს სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“.

საქართველოში საკმაოდ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. თუკი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილი მიდის რუსეთსა და სომხეთში და იქ საქმდება მშენებლობის სფეროში, რატომ არ შეიძლება მათი გამოყენება საქართველოში მიმდინარე სამშენებლო პროცესებში? აქედან გამომდინარე, **პრობლემის გადაჭრის მეორე ალტერნატივა** არის ის, რომ რეგიონის მაცხოვრებლებს მაქსიმალურად მიენდოს ინფორ-

¹ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728>

მაცია საქართველოში არსებულ ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ადამიანების საქართველოში დასაქმება. ინფორმაციის გავრცელება სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს უმთავრესად ვებგვერდების მეშვეობით, მათი მუდმივი განახლებით. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პრობლემის გადაჭრის ამ ორი გზიდან უფრო ადვილი განსახორციელებელია მეორე გზა, ანუ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება საქართველოში ჩასატარებელი მშენებლობების შესახებ.

რეკომენდაციები

წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია არა მარტო ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ მოსახლეობამ იცოდეს რეგიონში არსებული სამუშაო ადგილების შესახებ, რაც რეგიონის ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს. სხვა სიტყვებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააცნოს რეგიონის მოსახლეობას მშენებლობის სფეროში არსებული ახალი სამუშაო ადგილების შესახებ და ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ამ სამუშაოებზე დასაქმდეს ადგილობრივი მუშახელი. მაგალითად, მარაბდა-კარნახის რკინიგზის სადგურზე ძირითადად დასაქმებულია თურქეთიდან ან/და მარნეულიდან შემოსული მუშახელი, რომელიც ხელს უშლის იმას, რომ რეგიონში არსებულ სამუშაო ადგილებზე იმუშაოს ადგილობრივმა მოსახლეობამ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადად ინფორმაციის უკმარისობა არის უმუშევრობის, ასევე სამუშაო მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება

ჰეიდარ ალიევი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგ საქართველოში კვლავაც ბევრი ეკონომიკური პრობლემაა. ეკონომიკური სიღუბე ჩვეუნიანად ყველა რეგიონს მეტ-ნაკლებად ახასიათებს. გამონაკლისს არც გარდაბნის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს, რომელის მოსახლეობაც შერეული, ქართულ-აზერბაიჯანულია. გარდა ეკონომიკურისა, რეგიონში არის ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემაც, რაც დაბალ აქტიურობასა და ქართული ენის არასაკმარის ცოდნაში გამოიხატება. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პრობლემების მიმოხილვას და მათი გადაწყვეტის გზებზე მსჯელობას.

შესავალი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში შემავალი მუნიციპალიტეტია. სამხრეთიდან ის ესაზღვრება აზერბაიჯანს, აღმოსავლეთით – საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, ჩრდილოეთით – მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტს, ხოლო დასავლეთით – თბილისს, თეთრი წყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 82 000 კაცს შეადგენს, საიდანაც 53.2% ეთნიკურად ქართველია, 43.7% – აზერბაიჯანელი, ხოლო 3.1% – სხვა ეროვნების წარმომადგენელი.¹ მუნიციპალური ცენტრია ქალაქი გარდაბანი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი 19 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება, რომელიც 43 სოფელს მოიცავს.² გარდაბნის მუნიციპალიტეტი უშუალოდ ემიჯნება როგორც ქვეყნის დედაქალაქს, ასევე ერთ-ერთ დიდ და მზარდ ქალაქს – რუსთავს. რეგიონზე გადის როგორც საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი რკინიგზა, ისე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას. გარდა ამისა, რეგიონში მდებარეობს საქართველოს უდიდესი თბოელექტროსადგური, რომელიც ზამთრის პერიოდში დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.³

მიუხედავად ასეთი ხელსაყრელი მდებარეობისა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში კვლავაც უამრავი ეკონომიკური პრობლემაა. აქედან უნდა აღინიშნოს უმუშევრობა და საწარმოების სიმცირე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა. ნაშრომი ეყრდნობა როგორც ღია წყაროებს, აგრეთვე ავტორის პირად დაკვირვებებს და გასაუბრებას ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ მარნეულის მუნიციპალიტეტთან შედარებით, გარდაბანს ნაკლებად შეეხო კორონავირუსის პანდემია, საკარანტინე შეზღუდვის გამო ვერ შევძელით რეგიონის სრულფასოვანი შემოვლა და ინფორმაციის პირველწყაროდან მიღება, განსაკუთრებით, რეგიონის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებიდან.

პრობლემის აღწერა და გადაჭრის გზები

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში საწარმო ობიექტების სიმცირეა. საბჭოთა დროს ქალაქ გარდაბანში ფუნქციონირებდა საკონსერვო, მუყაოს,

1 მონაცემები აღებულია საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის ვებგვერდიდან. იხ.: <http://census.ge/> [ნანახია 2020 წლის 14 ივლისს]

2 გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ (2013). მუხლი N16. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169606?publication=0> [ნანახია 2020 წლის 14 ივლისს]

3 საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო. ხელმისაწვდომია: http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=59&lang=geo

სამკერვალო და სამშენებლო მასალების სანარმოები, თუმცა 1990-იან წლებში მათმა უმეტესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა.⁴ მეტიც, გარდაბნის ბევრი მკვიდრი დასაქმებული იყო რუსთავის ინდუსტრიულ ობიექტებში. საბჭოთა პერიოდში სოფლის უამრავი მაცხოვრებელი დასაქმებული იყო საბჭოთა მეურნეობებში (რუს. совхоз), რომლებიც ასევე დაიშალა 90-იან წლებში. საბჭოთა მეურნეობის მინების პრივატიზაცია ხშირ შემთხვევაში არასამართლიანად ხდებოდა და ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი მინის გარეშე რჩებოდა. ყოველივე ამან გამოიწვია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, რის გამოც გარდაბნის ათასობით მკვიდრმა სამსახურის ძებნის მიზნით უცხოეთს, ძირითადად, რუსეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს მიაშურა.

დღესდღეობით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ვაჭრობა. რეგიონის არაერთი მკვიდრი დასაქმებულია ლილოს ბაზრობაზე და აგრეთვე რუსთავის სხვადასხვა სავაჭრო ობიექტზე. რეგიონის მოსახლეობას მოჰყავს მწვანელი. გავრცელებულია აგრეთვე მესაქონლეობაც, სადაც ფერმერებისგან რძეს კომპანიის წარმომადგენლები სოფელშივე იბარებენ.⁵ რეგიონში, სოფელ სართიჭალაში, ასევე მდებარეობს მეფრინველეობის ფერმა. გარდა ამისა, ქალაქ გარდაბნის სიახლოვეს მდებარეობს დიდი სასათბურე მეურნეობა „პლანტა“, რომელშიც არაერთი ადგილობრივია დასაქმებული.⁶ ასევე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე დასაქმებულია მრავალი ადგილობრივი. კერძო სექტორიდან ასევე უნდა აღინიშნოს ქალაქ გარდაბანში მდებარე ბანკები, ლომბარდები, აზარტული თამაშების დაწესებულებები, სუპერმარკეტები, სილამაზისა და საქორწინო სალონები, სადაც ასევე ბევრი ადგილობრივია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ობიექტები ვერ აკმაყოფილებენ გარდაბნის მოსახლეობის დასაქმების მოთხოვნას. რეგიონში თითქმის არ არსებობს ტურიზმი და ტურისტული ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ მარტყოფის ღვთაების მონასტრის რეაბილიტაცია მოხდა და მის მახლობლად დაცული ტერიტორიებიც შეიქმნა, ეს რეგიონი ვიზიტორების რაოდენობით ვერ დაიკვებინა. გარდაბნის მახლობლად მდებარე ყარაიას სანადირო მეურნეობა კი ძლიერ ზარალდება ბრაკონიერობის გამო.⁷

ცალკე უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები, პირველ რიგში კი – უწყლობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით სოფელ თელეთს, კუმისსა და წალასყურს აწუხებს.⁸ ასობით ჰექტარი ერთ დროს სასოფლო-სამეურნეო მიწები არ მუშავდება უწყლობის გამო. რაც შეეხება არსებულ დამუშავებულ მიწებს, თვალში გვხვდება მცირე-მინიანობა. როგორც წესი, საშუალოდ ერთი ფერმერი 1 ჰექტარზე ნაკლებ ტერიტორიას ფლობს. ძალიან ბევრს მწვანელი საკარმიდამო ნაკვეთებში არსებულ 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოჰყავს.⁹ ასეთი მინის სიმცირე ხელს უშლის მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მოზიდვას. პრობლემებია მესაქონლეობაშიც, სადაც არის საძოვრების სიმცირე და ასევე მაღალი წველადობის ჯიშის ძროხების დეფიციტი.¹⁰

4 კვახაძე ალ. (2020). „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები“. გვ. 6. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

5 გასაუბრება სოფელ ქესალოს მაცხოვრებელთან.

6 კვახაძე, ალ. (2020). „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები“. გვ. 7. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

7 მორგოშია, მ. (2019). „Median Group-მა სამონადირო ბიზნესის განვითარება დაიწყო – რას სთავაზობს ყარაიას სამონადირო მეურნეობა ტურისტებს“. Commersant. ხელმისაწვდომია: <https://commersant.ge/ge/post/samwuxarod-didia-brakonierebis-shemoteva-kerdzod-chvens-teritoriaze-samonadireo-meurneobis-xelmdzgvaneli-zaza-chitrekashvili>

8 გზა (2019). „ზემო თელეთელების გასაჭირი და თბილისიდან იქ გადასახლებული ყველის ჯადოქარი“. ხელმისაწვდომია: <http://gza.kviripalitra.ge/life/6838-zemo-thelethelebis-gasatciri-da-thbilisidan-iq-gadasakhlebuli-yvelis-jadoqari.html>

9 კვახაძე ალ. (2020). „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები“. გვ. 7. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

10 იქვე.

ყოველივე ამას ემატება სატრანსპორტო კომუნიკაციის პრობლემა. არც თბილისთან და არც რუსთავეთან დასაკავშირებლად არ არსებობს სწრაფი და კომფორტული ტრანსპორტი, რის გამოც ადგილობრივებს მოძველებული სამარშრუტო მიკროავტობუსებით უწევთ გადაადგილება. მეტიც, გარდაბანი-რუსთავე-თბილისის მატარებელიც მხოლოდ ერთ რეისს ასრულებს დღეში და ისიც არაკომფორტულია.¹¹ ყოველივე ეს ხელს უშლის მოსახლეობის მობილობას, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, არის ენობრივი ბარიერი. ისევე, როგორც ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სხვა რეგიონებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს სახელმწიფო ენას.¹² გამომდინარე აქედან, ისინი ვერ ახერხებენ დასაქმებას და რეგიონში პრობლემატურია კვალიფიციური მუშა-კადრების სიმცირე.

აღნიშნული პრობლემების გამო, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავაც სიღარიბეში ცხოვრობს. გრძელდება უცხოეთში ან საქართველოს დიდ ქალაქებში ახალგაზრდა მოსახლეობის გადინება. ამ პრობლემების მოგვარების მიზნით შევიმუშავეთ რეკომენდაციების ნუსხა, რომელიც დაეხმარებოდა მათ მოგვარებას.

რეკომენდაციები

- **სატრანსპორტო კომუნიკაციის მონესრიგება** – ამ პრობლემის გადაჭრით გაიზრდება რეგიონში მობილობა, რაც დადებითად აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე.
- **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** – გზების, წყლის, ბუნებრივი აირისა და სარწყავი არხების გამართვის შედეგად, რეგიონი გახდება უფრო მიმზიდველი ინვესტორთათვის.
- **ინვესტიციების მოზიდვა** – სამუშაო ადგილების შესაქმნელად აუცილებელია ინვესტორთა მოზიდვაზე აქტიური მუშაობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც რეგიონს აშკარა უპირატესობები აქვს – დედაქალაქთან და მაგისტრალებთან სიახლოვე.
- **აგროპროექტების მხარდაჭერა** – რეგიონში არსებული ფერმერული მეურნეობების ფინანსური წახალისება და მათი პროდუქციის ექსპორტზე გატანის ხელშეწყობა.
- **პროფესიული გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა** – ამ პროგრამების შედეგად ადგილობრივი კვალიფიციური მუშა-ხელი გადამზადდება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ შრომით ბაზარზე კონკურენტულობის ზრდას და სხვადასხვა სფეროებში დასაქმებას.
- **ქართული ენის შემსწავლელი ინტენსიური კურსების შემოღება** – ქართული ენა ინტენსიურად უნდა ისწავლებოდეს საბავშვო ბაღებსა და საშუალო სკოლებში, აგრეთვე უფროებსათვის უნდა გაიხსნას ენის შემსწავლელი ცენტრები, სადაც ნებისმიერ მსურველს, ვისაც ახალგაზრდობაში საშუალება არ ჰქონდა ქართული ესწავლა, მიეცემა შანსი დაეუფლოს ქართულ ენას.
- **ტურიზმის განვითარება** – ისეთ პერსპექტიული მიმართულებებით, როგორცაა მარტყოფი, კუმისის ტბა, ჯანდარის ტბა და ყარაიას სამონადირეო მეურნეობა, უნდა მოხდეს ტურიზმის პოპულარიზაცია, რაც გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას და ეს დადებითად აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე.

11 კვახაძე ალ. (2020). „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებები“. გვ. 7. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/publications/view/2772>

12 Organisation for Economic Development and Cooperation (2019) OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Georgia. Paris: OECD

დასკვნა

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, გარდაბნის მუნიციპალიტეტს განვითარების უდიდესი პერსპექტივა აქვს. სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიისა და ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და რეგიონის ეკონომიკის განვითარებას. თბილისთან და რუსთავთან სიახლოვე გარდაბნის მუნიციპალიტეტის დიდი უპირატესობაა, რომელსაც შეუძლია გახდეს სტიმული ეკონომიკური განვითარებისათვის და, რაც მთავარია, ეკონომიკას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს რეგიონის მრავალეთნიკური მოსახლეობის ინტეგრაციის თვალსაზრისით. რაც უფრო უკეთ ეცოდინებათ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ქართული ენა და რაც უფრო უკეთ დაეუფლებიან სახელმწიფო ენას, მით უფრო კონკურენტუნარიანები გახდებიან შრომით ბაზარზე, რაც რეგიონის ეკონომიკას გამოადგება.